გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№39 (1729) 20 — 26 ნოემბერი ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

უნდა გამკაცრდეს თუ არა ნარკოპოლიტიკა

საშინელი სტატისტიკის ახალი დეტალები

„ფორმულა“ და „მთავარი“ ერთიანდებიან?!

რის გამო მიუსაჯა პატიმრობა მოსკოვის სასამართლომ დავით კეზერაშვილს – ნოემბრის პროტესტის ქრონიკები

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

რატომ გაყიდა ცეზარ ჩოჩელმა კომპანიები – „ზედაზენი“ და „მაგნიტი“

რას წარმოადგენს შპს „დეილი“ და რა აკავშირებს კომპანიასთან ბიზნესმენ არჩილ გეგენავას

საქართველო ევროკავშირის მიერ გამოყოფილ 121 მილიონ ევროს დაკარგავს?

რა ეკონომიკურ დახმარებას უწევს ევროკავშირი საქართველოს

მებაჟე ოფიცრებმა სარფში, 4 კილოგრამამდე არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები გამოავლინეს

მებაჟე ოფიცრებმა, საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფში“, 4 კგ-მდე არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები გამოავლინეს. ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, მებაჟე ოფიცრებმა 3 900 გრამი არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები, თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან მომავალი, საქართველოს მოქალაქის მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომობილის ეჭვის საფუძველზე დეტალური დათვალიერების შედეგად (ავტომობილის სალონში არსებული სავარძლის ქვეშ) გამოავლინეს.

მათივე ინფორმაციით, საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 505 667.28 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ამხილეს მამაკაცი, რომელიც ცოლის მიმართ ფარულ მიყურადღებას ახორციელებდა

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ამხილა მამაკაცი, რომელიც ფარულ მიყურადღებას ცოლის მიმართ ახორციელებდა. ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, დანაშაული 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ 2024 წლის აპრილიდან ივლისამდე პერიოდში, ქ. თბილისში, 1991 წელს დაბადებულმა ბრალდებულმა მამაკაცმა, მეუღლესთან უთანხმოების გამო, მისი გაკონტროლების მიზნით, საცხოვრებელი სახლის მისაღებ ოთახში, ტელეფონის დამტენის ფორმის ფარული ვიდეო-აუდიო ჩამწერი მოწყობილობა დენის წყაროსთან დააკავშირა, რომლის მეშვეობითაც ბრალდებული თავისი მობილური ტელეფონიდან ფარულად გადაღებულ კადრებს პერიოდულად ნახულობდა და კომპიუტერში ინახავდა. გარდა ამისა, ბრალდებულმა საძინებელი ოთახის ჭერში ფარულად აუდიო ჩამწერი მოწყობილობა დაამონტაჟა, რომლის ჩანაწერებსაც, ასევე, მეხსიერების ბარათზე ინახავდა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 1990 წელს დაბადებული დაზარალებული ქალის მიმართვის შემდეგ, შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები დაუყოვნებლივ ჩაატარა. კერძოდ, ამოღებული იქნა ფარული ჩამწერი მოწყობილობები და მათში არსებული მეხსიერების ბარათები. ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ამოღებული იქნა მისი კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკა, რომელშიც ფარული აპარატურის მიერ ჩაწერილი აუდიო და ვიდეო მასალა იქნა ნანახი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, მამაკაცს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოს ხელყოფისთვის წარედგინა. დანაშაული 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური აღნიშნულ ფაქტზე აგრძელებს გამოძიებას“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

თბილისში პოლიციელის დაჭრის საქმეზე გამოძიება ორი მუხლით დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თბილისში, პოლიციელის დაჭრასთან დაკავშირებით გამოძიება ორი მუხლით დაიწყო.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, მომხდარზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს და 236-ე მუხლით, რაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა ტარებას გულისხმობს.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წყნეთის პოლიციის თანამშრომელს ვეძისში, საკუთარ სახლთან, გვიან ღამით ესროლეს.

ახალსოფელში ქმარმა ცოლის დაწვა სცადა – მამაკაცი დაკავებულია

თიანეთში, სოფელ ახალსოფელში, ქმარმა ცოლის დაწვა სცადა.

არსებული ინფორმაციით, შემთხვევა სამი არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით მოხდა.

ცოლზე ძალადობაში ბრალდებული მამაკაცი დაკავებულია.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ჟურნალისტებისა და ოპერატორების, მათ შორის, ლექსო ლაშქარავას მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაში მსჯავრდებულებმა – დავით კუტალაძემ და თორნიკე დავლაშერიძემ საპატიმრო ვადაზე ადრე დატოვეს

ჟურნალისტებისა და ოპერატორების, მათ შორის, „ტვ პირველის“ ოპერატორის, ლექსო ლაშქარავას მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაში მსჯავრდებულებმა – დავით კუტალაძემ და თორნიკე დავლაშერიძემ საპატიმრო ვადაზე ადრე დატოვეს.

არსებული ინფორმაციით, ისინი „ამნისტიის შესახებ“ კანონის საფუძველზე გათავისუფლდნენ.

როგორც თორნიკე დავლაშერიძის ადვოკატმა გელა ნიკოლეიშვილმა განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა, ქსნის მე-15 პენიტენციური დაწესებულება უკვე დატოვა.

„მას ამნისტიის საფუძველზე, 1/6 მოაკლდა. საპატიმრო უკვე დატოვა“, – განაცხადა ნიკოლეიშვილმა.

არსებული ინფორმაციით, საპატიმრო 5 ივლისის საქმეზე მსჯავრდებულმა კიდევ რამდენიმე პირმა დატოვა, თუმცა ვინ, ამ ეტაპზე უცნობია.

ცნობისთვის, 2021 წლის 5 ივლისს, ჟურნალისტებისა და ოპერატორების, მათ შორის, „ტვ პირველის“ ოპერატორის, ლექსო ლაშქარავას მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაში მსჯავრდებულებს – აკაკი ნაკაშიძეს, თორნიკე დავლაშერიძეს, დავით კუტალაძეს, ოთარ გელაშვილს, ცოტნე ჩიხლაძესა და გია გიგუაშვილს 4-4-წლიანი პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი.

რუსთაველის გამზირზე, მედია-საშუალებების წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებსა და პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ბრალდებით, სულ 27 პირი იყო დაკავებული. მათ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა), 156-ე მუხლით (დევნა), 225-ეს მე-2 ნაწილი (ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) მუხლებით წაუყენეს. ნაწილს ასევე ბრალი წარდგენილი ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსის 118 მუხლის მე-3 ნაწილით, რაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს, მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩადენილს ჯგუფურად. რამდენიმე პირს ასევე ბრალი წაუყენეს 117 მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილითაც, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, ჯგუფურად გენდერის ნიშნით, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩადენილს გულისხმობს. აღნიშნულ საქმეზე 27 პირი დააკავეს, საქმეს კი 56 დაზარალებული ჰყავს, მათ შორის, 47 ჟურნალისტია.

„ფორმულა“ და „მთავარი“ ერთიანდებიან?!

რის გამო მიუსაჯა პატიმრობა მოსკოვის სასამართლომ დავით კეზერაშვილს – ნოემბრის პროტესტის ქრონიკები

ნინო დოლიძე

ერთ წრეზე ვტრიალებთ – როგორც წინა საუკუნეში, ახლაც საზოგადოების ნაწილი ქუჩაშია და ამტკიცებს, რომ არჩევნები გაყალბებულია. ზოგადად, ქუჩაში დგომა, როგორც ჩანს, ჩვენი ბედისწერაა, თუმცა ამჟამინდელი პროტესტი ყველა სხვა წინამორბედისგან იმით განსხვავდება, რომ „პროტესტანტები“ პარლამენტის წინ კი არა, არამედ, თსუ-ს პირველ კორპუსთან გამაგრდნენ. სხვათა შორის, ამ ლოკაციის „ათვისება“ თავად ოპოზიციის უდიდესი ნაწილისთვისაც კი ერთგვარი სიურპრიზი იყო ანუ რამდენიმე დღის წინ, როცა პარლამენტთან, Facebook-ჯგუფ „დაიტოვეს“ მიერ ორგანიზებული საპროტესტი შეკრება გაიმართა, ნიკა გვარამიამ, რომლის პარტიაც მსვლელობას ვაკიდან რუსთაველისკენ მართავდა, თსუ-ს პირველ კორპუსთან განაცხადა, ჩვენ აქ ვრჩებითო.

„ჩვენ აქ ვდგავართ და ჩვენ აქ ვრჩებით. 24 საათი ეს აქცია იდგება აქ, ვინ არის თანახმა თქვენ შორის, რომ არ შეუშინდეს დაჭერას, არ შეუშინდეს სიცივეს, არ შეუშინდეს რუსულ რეჟიმს იმიტომ, რომ ეს სამშობლო ჩვენია.

მოძრაობა არ იქნება, ამ მაგისტრალზე მოძრაობა არ იქნება, არც სხვა მაგისტრალებზე, ნელ-ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად, დაგეგმილად, მშვიდობიანად დავიკავებთ ჩვენს ქვეყანას, ეს ქვეყანა ჩვენია, ყველას ძალიან დიდი ბოდიში“, – განაცხადა 17 ნოემბერს, საღამოს, ნიკა გვარამიამ.

გვარამიას თანაგუნდელმა ელენე ხოშტარიამ კი რუსთაველზე მყოფ ხალხს შეერთებისკენ მოუწოდა:

„წინააღმდეგობის მოძრაობა დაწყებულია, ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ, ჩვენ არ ვაპირებთ „ოცნების“ დღის წესრიგით სიარულს, ასევე, ჩვენ არ ვაპირებთ მათი ძალადობრივი გეგმებით სიარულს, ჩვენ ვართ არაძალადობრივი, მტკიცე წინააღმდეგობის მოძრაობა.

ამიტომ, ჩვენ დღეს მოვუწოდებთ ყველას, მათ შორის, რუსთაველზე მყოფ ხალხს, ვაცნობებთ მათ, რომ აქ ვჩერდებით. თსუ-სთან, დღეს გავათევთ ღამეს, 24 საათი ვიქნებით აქ, გაგაცნობთ ყველა შემდგომ გეგმას და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება ახალი და სამართლიანი არჩევნები. არჩევნები, რომელსაც იმსახურებს საქართველოს მოსახლეობა“.

იქვე, განცხადება ნიკა მელიამაც გააკეთა:

„ჩვენ გადავდივართ არაძალადობრივი პროტესტის სხვა ეტაპზე, გადავდივართ იმ ეტაპზე, რასაც ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი გვკარნახობს, არალეგიტიმურ ხელისუფლებას არ აღიარებს ხალხი, არალეგიტიმურ ხელისუფლებას არ აღიარებს არავინ მსოფლიოში...

24 საათის განმავლობაში, ხვალ საღამოს, 8 საათამდე, თბილისის ერთ-ერთ ყველაზე ცენტრალურ ადგილას ვრჩებით აქ, უნივერსიტეტის წინ, დანარჩენი, შემდგომი განცხადებები მოგვიანებით გაკეთდება“.

გვარამიას გუნდის ამ მოწოდებას მაშინვე შეუერთდა კოალიცია „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობაც“.

ერთი სიტყვით, აი, ასე, სპონტანურად დაიწყო ე.წ. სახალხო დაუმორჩილებლობა, რომელიც თავდაპირველი დათქმით, 24 საათს უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა როცა ეს ვადა ამოიწურა, გვარამიამ და ოპოზიციის სხვა ლიდერებმა „პლასტინკა ამოატრიალეს“ და თქვეს, რომ აქცია კიდევ ერთი 24 საათი გაგრძელდებოდა.

ეს გადაწყვეტილება კი სალომე ზურაბიშვილის საგანგებო ბრიფინგის შემდეგ გაკეთდა. ამ ბრიფინგზე, ზურაბიშვილმა სიტყვა-სიტყვით თქვა:

„შემაქვს საკონსტიტუციოში სარჩელი სწორედ იმ ორი კონსტიტუციური პრინციპის დარღვევის გამო, რომელსაც ჰქვია ფარულობა და საყოველთაობა. ეს არის არა იმიტომ, რომ მჯერა საკონსტიტუციოსი. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ამ ქვეყანაში არცერთი ინსტიტუტი აღარაა დამოუკიდებელი და ამის მტკიცებულება მივიღეთ არაერთხელ, მაგრამ ეს უნდა იყოს ნიშანი იმისა, რომ ამ ქვეყანაში არცერთი სამართლებრივი დავა არ უნდა დარჩეს ისე, რომ ბოლომდე არ ვცადოთ.

ჩემი სარჩელის მიზანია, ბოლომდე გამოვცადოთ იმ მოსამართლეების სინდისი, რომლებიც დადგებიან თავიანთ თავთან იმ არჩევანის წინაშე – თუ როგორი ქვეყანა მინდა, ვისთან ერთად მინდა ეს ქვეყანა და საითკენ უნდა წავიდეს ეს ქვეყანა. ამაზე მათი პასუხი იქნება არანაკლებ მნიშვნელოვანი.

მინდა ვუსურვო მათ და ვუსურვო ჩვენს თავს, რომ აღმოჩნდეს საკონსტიტუციო სასამართლოში რამდენიმე მოსამართლე მაინც, რომელიც როგორც ერთმა მოსამართლემ უკვე გვაჩვენა, მათაც შეძლონ და გვაჩვენონ, რომ ღირსეული მოსამართლეები მაინც გვყავს ამ ქვეყანაში“, – განაცხადა პრეზიდენტმა და მმართველ გუნდს მოუწოდა, კარგად დაფიქრდით, რადგან არ შეიძლება, ახალი პარლამენტის შეკრება მაშინ, როცა არ მოგყვება არც შენი ქვეყანა და არც შენი მთავარი პარტნიორებიო.

მოკლედ, ყოველივე ამის მერე, მომიტინგეებმა 18 ნოებრის ღამის გათენება ისევ თსუ-ს პირველ კორპუსთან გადაწყვიტეს. პარალელურად, სოცქსელებში ვრცელდებოდა მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც პარალიზებული ვაკის გამო წუხდნენ.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, შეწუხებულმა ხალხმა დასახმარებლად 112-შიც დარეკა და სწორედ ამის ნიადაგზე, 19 ნოემბერს, გამთენიისას, შესაბამისმა უწყებებმა ჭავჭავაძისა და მელიქიშვილის გამზირების კვეთა აქციის მონაწილეებისგან გაათავისფლეს. მანამდე კი შსს-მ საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამი იყო:

„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ჭავჭავაძის გამზირსა და ვარაზისხევის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბოლო ორი დღის მანძილზე, მიმდინარეობს შეკრება/მანიფესტაცია, რომლის ფარგლებშიც, სრულად დაკავებულია ტრანსპორტის სავალი ნაწილი და განთავსებულია სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციები, გზის ხელოვნურად ბლოკირების მიზნით.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობით დაცულია შეკრება-მანიფესტაციისა და გამოხატვის უფლება. ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს შეკრება-მანიფესტაციის უფლების რეალიზების სამართლებრივ რეგულირებას, რათა დაცული იყოს სხვა პირთა უფლებები, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა ორგანიზაციების გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის ნორმალური მუშაობა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ფორმულა“ და „მთავარი“ ერთიანდებიან?!

მე-3 გვერდიდან

სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას სამართლიანი ბალანსი შეკრების/მანიფესტაციის თავისუფლებასა და იმ პირთა უფლებებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ, მუშაობენ, სწავლობენ, სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან იმ ადგილებში, სადაც მიმდინარეობს შეკრება, ან მანიფესტაცია. აღნიშნულ პირებს მიზანმიმართულად ხელი არ უნდა შეეშალოთ, რათა განაგრძონ თავიანთი საქმიანობა.

ამასთან, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 პრიმა მუხლის თანახმად, დაუშვებელია ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა, თუ ამას არ მოითხოვს შეკრების, ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობა. აგრეთვე, დაუშვებელია ტრანსპორტის სავალი ნაწილის ავტომანქანებით, სხვადასხვა კონსტრუქციებით ან/და საგნებით გადაკეტვა.

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება არ მოიცავს ავტოსაგზაო მოძრაობისა და მოქალაქეთა ცხოვრების ჩვეული რიტმის მიზანმიმართული შეფერხების უფლებას.

საზოგადოებამ ნათლად იხილა, რომ შეკრების მონაწილეებს საკმარისად მიეცათ დრო, რათა გამოეხატათ საკუთარი აზრი და დაეფიქსირებინათ პროტესტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ტრანსპორტის სავალი ნაწილის მოძრაობის აღდგენის, ტროტუარებზე ხალხის სამოძრაო ადგილის გათავისუფლების, კომუნალური სერვისების ნორმალურად ფუნქციონირებისა და მოქალაქეთა ცხოვრების ჩვეული რიტმის უზრუნველსაყოფად, შეკრება/მანიფესტაციის მონაწილეებს მოვუწოდებთ, გაათავისუფლონ ჭავჭავაძის გამზირისა და ვარაზისხევის მიმდებარე ტერიტორია ხელოვნურად აღმართული კონსტრუქციებისგან, შეწყვიტონ ტრანსპორტის სავალ ნაწილზე შეკრება/მანიფესტაცია და პროტესტი გამოხატონ კანონით დადგენილ ფარგლებში.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, შეკრება/მანიფესტაციების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მიეცემათ 15-წუთიანი ვადა, რათა მიმართონ ყველა შესაბამის ზომას ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნისა და ტრანსპორტის მოძრაობის აღსადგენად. წინააღმდეგ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოიყენებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.

შეკრება/მანიფესტაციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მოვუწოდებთ, დაემორჩილონ პოლიციის კანონიერ მოთხოვნას“.

აქციის მონაწილეები, როგორც ოფიციალური წყაროები ამბობენ, ზემოხსენებულ მოთხოვნას არ დაემორჩილნენ. მეტიც, ოფიციალური წყაროების თქმითვე, მათ „დრონებიდან“ ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებს საღებავი დაასხეს. ამიტომ, აქციის რამდენიმე მონაწილე ადგილზე დააკავეს. სამწუხაროდ, დაკავებულთა შორის ტვ „მთავარის“ ოპერატორიც მოხვდა, რომელიც მალევე გაათვისუფლეს.

ყოველივე ამის შემდეგ, ოპოზიციის ლიდერებმა თქვეს, რომ ე.წ. მობილურ აქციებზე გადავიდოდნენ, თუმცა რას ნიშნავს ეს „მობილური აქცია“, არავის დაუკონკრეტებია.

* * *

ისე, თუ დავაკვირდებით, ნოემბერი ქართული პოლიტიკისთვის ერთობ საკრალური თვეა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 2007 წლის 7 ნოემბერი უახლესი ქართული ისტორიის ერთგვარი ლაქაა. რა შეფასებას მისცემს ისტორია წლევანდელ 19 ნოემბერს, ამას დრო აჩვენებს. იმისთვისაც დროა საჭირო, ოპოზიციის მოთხოვნა ახალი არჩევნების დანიშვნის თაობაზე, რეალობად იქცევა თუ არა.

ამასობაში კი, კულუარებში ერთობ მნიშვნელოვანი ცნობა ვრცელდება. მართალია, ეს ცნობა ოფიციალურად არ დასტურდება, მაგრამ იგივე ჟურნალისტურ წრეებში აქტიურად დადის ხმა, რომ ტელეკომპანია „ფორმულა“ იხურება, უფრო კონკრეტულად, „ფორმულა“ „მთავარს“ შეერწყმება და საკუთარ ინფრაქსტრუქტურასაც დაუთმობს.

„ფორმულას“ დახურვის მიზეზად ის სახელდება, რომ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, დავით კეზერაშილმა, რომელიც არხის მთავარი დამფინანსებელია, ფულის ჩადებაზე უარი თქვა ანუ „ფორმულას“ დოტაცია 1-ელი დეკემბრიდან შეწყდება.

სხვათა შორის, წელიწადზე მეტი იქნება, „ფორმულას“ მეწილეები, ამავე ტელეკომპანიის სახეებიც არიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ფინანსების მოძიება შეუძლიათ.

ამიტომ, როგორც ხმა დადის, ტელევიზია, დღევანდელი სახით, არსებობას შეწყეტს.

რაც შეეხება „მთავარს“, რამდენიმე კვირის წინ, სოცქსელში გავრცელდა არხის გენერალური დირექტორის განცხადება, რომელშიც ნიკა გვარამიას მიმართ მწვავე ბრალდებები იყო წამოყენებული:

„ნიკა, გაუგებარია, რომ ჩვენი ამდენწლიანი პირადი ნაცნობობა ვეღარ გაიხსენე და ჟურნალისტის შეკითხვაზე ჩემს შესახებ, განაცხადე: „კომუნიკაცია ცხოვრებაში არ მქონია და საერთოდ არ ვიცი, ვისზე ლაპარაკობთო“.

შეგახსენებ, რომ კომუნიკაცია იმ დროიდან გვაქვს, როდესაც „რუსთავი 2“-დან გათავისუფლებული, ტელევიზიის გარეშე დარჩენილი, „ომეგა ჯგუფმა“ მიგიღეთ. მე და „ომეგა ჯგუფის“ კომპანიების სხვა დირექტორებმა გადმოგეცით სარგებლობაში ჩვენს კუთვნილებაში არსებული ტელეკომპანია „იბერია-ტვ“-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არა მხოლოდ „იბერიას“, არამედ, „ომეგა მოტორ ჯგუფისა“ და „ომეგა ჯგუფის“ ფაბრიკის ტერიტორიაზე არსებული შენობები.

ეტყობა, მას შემდეგ აღარ გვიცნობ, რაც: გაფლანგე „ომეგა ჯგუფის“ 5 მილიონამდე თანხა.

„მთავარ არხს“ ფინანსური მაქინაციებით 11 მილიონის ვალი აჰკიდე, რომელიც დღემდე იზრდება და რომელიც აზარალებს „ომეგა ჯგუფს“ და მის შენატანს „მთავარი არხის“ კაპიტალში.

„ნიუ სეილსის“ დირექტორ თეა გვარამიასთან ერთად, „მთავარი არხის“ ინკასოს პირობებში, ფინანსური მაქინაციები ჩაატარე.

დასასრული მე-15 გვერდზე

საქართველო ევროკავშირის მიერ გამოყოფილ 121 მილიონ ევროს დაკარგავს?

მაკა რუხაძე

რა ეკონომიკურ დახმარებას უწევს ევროკავშირი საქართველოს

დემოკრატიული უკუსვლის შედეგად, საქართველო 2022, 2023 და 2024 წლებისთვის, ევროკავშირის დახმარების სახით გამოყოფილი თანხებიდან 121 მილიონ ევროს დაკარგავს. ესაა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის განცხადება, რომლის მიხედვით, 2021-2024 წლებში, საქართველომ ისარგებლა ევროკავშირის მიერ ყოველწლიურად გამოყოფილი 85 მილიონი ევროთი. თუმცა, ყოველწლიურად გამოყოფილი თანხები იმავე წელს მთლიანად არ იხარჯება, შესაბამისად, დემოკრატიის უკუსვლის შედეგად, ქვეყანამ 2022, 2023 და 2024 წლებში დაკარგა ევროკავშირის დახმარება 121 მილიონი ევროს ოდენობით. დაკარგული თანხები თავდაპირველად განკუთვნილი იყო საქართველოს ხელისუფლებისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის პირდაპირი საბიუჯეტო დახმარებისთვის ან მთავრობის და სახელმწიფო უწყებების ტექნიკური დახმარებისთვის. ეს თანხები გადანაწილდა სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმის (NIP) მხარდაჭერის გასაზრდელად რეგიონული პროექტებისთვის მთელ აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, ასევე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული განვითარების, სამოქალაქო საზოგადოების და ადამიანის უფლებების სექტორების მხარდასაჭერად. „ვერსია“ დაინტერესდა, კონკრეტულად რა ტიპის ეკონომიკურ დახმარებას უწევს ევროკავშირი საქართველოს და რეალურად, რა პროექტებს აფინანსებს ჩვენს ქვეყანაში. საჭირო ინფორმაცია, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ, „ვერსიამ“ ევროკავშირის საქართველოში წარმომადგენლობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოიპოვა.

ევროკავშირი და საქართველო

ევროკავშირსა და საქართველოს ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებთ, რომელიც უფრო მჭიდრო პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას ისახავს მიზნად. ამ მიზნის მისაღწევად, 2014 წლის ივნისში, ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც ძალაში სრულად 2016 წლის ივლისში შევიდა. გარდა ამისა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე – DCFTA ხსნის ევროკავშირის ბაზარს ქართული ბიზნესებისა და პროდუქტებისთვის. ადამიანთა შორის უფრო მჭიდრო კონტაქტებისა და მობილობისთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლა 2017 წლის 28 მარტიდან მოქმედებს.

2022 წლის მარტში, საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადის შეტანის შემდეგ, იმავე წლის ივნისში, აღიარებულ იქნა ქვეყნის ევროპული პერსპექტივა და საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი 2023 წლის 14 დეკემბერს მიენიჭა. ნახევარი წლის შემდეგ, 2024 წლის 27 ივნისს, ევროპულმა საბჭომ გამოაცხადა, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი „დე ფაქტო შეჩერდა“ კანდიდატის სტატუსის შესახებ ევროკომისიის მიერ მომზადებულ რეკომენდაციაში მოცემულ ნაბიჯებთან დაკავშირებით უკუსვლის გამო.

2024 წლის 17 ოქტომბერს, ევროპულმა საბჭომ აღნიშნა, რომ საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეჩერდა და მოუწოდა საქართველოს გაეტარებინა დემოკრატიული, ყოვლისმომცველი და მდგრადი რეფორმები, ევროინტეგრაციის ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

ევროკავშირი საქართველოს ყველაზე დიდი დონორია და ყოველწლიურად საქართველოს ამბიციური რეფორმების დღის წესრიგის მხარდასაჭერად, გრანტების სახით, დაახლოებით, 85 მილიონი ევროს ოდენობის თანხას გამოყოფს.

ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველომ მყარი ეკონომიკური ზრდა განიცადა, რომელიც ნაწილობრივ შესაძლო გახდა მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების საშუალებით, რაც მოიცავდა საგადასახადო მოსაკრებლების პროცედურების განახლებას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, ქვეყნის გახსნას უცხოური ვაჭრობისა და ინვესტიციებისთვის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ბიზნეს-გარემოს გამარტივებას.

2014 წლის 27 ივნისს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ასოცირების შესახებ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის – DCFTA ჩათვლით. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ეს შეთანხმება განსაკუთრებული ტიპის შეთანხმებად არის მიჩნეული, რადგან მას აქვს ევროკავშირის შიდა ბაზარში ინტეგრირების ამბიციური ამოცანა. ეს რეჟიმი ზრდის ევროკავშირსა და საქართველოს შორის ბაზარზე წვდომას უკეთესად მორგებული რეგულაციების საფუძველზე. DCFTA ასოცირების შეთანხმების მთავარი ღერძია და საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზებასა და დივერსიფიცირებას ეხმარება.

2014 წლის 1 სექტემბერს, დაიწყო შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებების, მათ შორის DCFTA-ს ამოქმედება. ამ პერიოდისთვის, საქართველო უკვე სარგებლობდა შეღავათების ზოგადი სისტემით, ხოლო 2017 წლის 1 იანვრიდან, დაასრულა ამ პროგრამით სარგებლობა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობა წლების განმავლობაში ვითარდებოდა, დღეს ევროკავშირი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია. DCFTA აღრმავებს საქართველოს ეკონომიკურ კავშირებს ევროკავშირთან და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სახელმწიფო შესყიდვები, საერთო საბაჟო წესები, სურსათის ტექნიკური და სანიტარული სტანდარტები, ინტელექტუალური საკუთრების საკითხები და კონკურენციის წესები.

ევროკავშირი ხელს უწყობს მთავრობას ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდასა და კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერაში ხარისხის მართვის სისტემებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემების ჩამოყალიბების გზით, რითაც სტანდარტებთან შესაბამისობას უზრუნველჰყოფს.

დღევანდელი ვაჭრობა ციფრებში

აღმოსავლეთ პარტნიორობის ვაჭრობის მხარდაჭერის სამსახური ეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, გამოავლინოს ახალი ბაზრის შესაძლებლობები იმპორტიორებისა და ექსპორტიორებისთვის. ეს პლატფორმა ეხმარება კომპანიებს, იპოვონ ახალი შესაძლებლობები, პოტენციური პარტნიორები და შეამოწმონ, თუ რა მოთხოვნები და პროცედურები არსებობს. ის ავსებს ბაზრებზე წვდომის მონაცემთა ბაზას, რომელიც ევროპულ კომპანიებს საშუალებას აძლევს, სავაჭრო შეთანხმებებიდან სარგებელი სრულად მიიღონ რთული სავაჭრო წესების პრაქტიკულ, ადაპტირებულ ინფორმაციამდე დაყვანის გზით.

ევროკავშირის ქვეყნები კვლავ საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან და მათ მთლიან სავაჭრო ბრუნვაში, თითქმის 20.5%-იანი წილი უკავიათ. 2022 წლისთვის, საქართველოს მთლიან ექსპორტში წამყვანი წილი ევროკავშირის ქვეყნებს ეჭირა – 15,4%, შემდეგ არიან ჩინეთი – 13,2%, აზერბაიჯანი – 12%, რუსეთი – 11.5% და თურქეთი – 7.8%.

ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნის ვაჭრობა საქართველოსთან (რომელიც 75-ე ადგილზეა), 2022 წლისთვის 0.1%-ს შეადგენს – 4.256 მილიარდი ევროს ღირებულებით.

2022 წელს, ევროკავშირის ექსპორტმა საქართველოში 3.23 მილიარდი ევრო შეადგინა. ძირითადი საექსპორტო საქონელი უმთავრესად არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციაა, როგორებიცაა მინერალური პროდუქცია, მექანიზმები, ხელსაწყოები და სატრანსპორტო აღჭურვილობა.

2022 წელს, საქართველოდან ევროკავშირში 1.026 მილიარდი ევროს ღირებულების საქონლის იმპორტი განხორციელდა.

დასასრული მე-6 გვერდზე

საქართველო ევროკავშირის მიერ გამოყოფილ 121 მილიონ ევროს დაკარგავს?

მე-5 გვერდიდან



მდგრადი განვითარება და მწვანე ეკონომიკა

კლიმატის ცვლილება და გარემოს მდგომარეობის გაუარესება სერიოზული საფრთხეა ევროპისა და მსოფლიოსთვის. ევროკავშირი ხელს უწყობს „ევროპული მწვანე გარიგების“ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს სამართლიან გადასვლას მდგრადი, რესურსების მხრივ ეფექტიანი და კლიმატის მხრივ ნეიტრალური ეკონომიკებისა და ენერგეტიკული სისტემებისკენ.

ევროკავშირი არის ლიდერი კლიმატის სფეროში და მისი მიზანია, 2050 წლისთვის, კლიმატის ნეიტრალიტეტს მიაღწიოს. საქართველოში ევროკავშირი მხარს უჭერს კლიმატის ცვლილების მოგვარების და ადაპტირების მცდელობებს, მათ შორის, EU4Climate პროექტის საშუალებით და მრავალი ინფრასტრუქტურული ინვესტიციის დაფინანსებით, რაც ხელს უწყობს სათბური გაზების ემისიების შემცირებას.

ევროკავშირი ასევე ხელს უწყობს და აჩქარებს ენერგოსექტორის გლობალურ გარდაქმნას. ამ მიზნით, ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას ენერგოეფექტურობასა და განახლებადი ენერგიის დანერგვის ხელშეწყობასთან დაკავშირებით, მაგალითად, ასობით საჯარო შენობის ენერგოეფექტურობის რეაბილიტაციაში ინვესტიციის განხორციელებით.

ბიომრავალფეროვნება აუცილებელია სიცოცხლისთვის, რადგანაც იგი უზრუნველჰყოფს ჩვენს კვებას, ჯანმრთელობას, მედიკამენტებს, მასალებს, დასვენებასა და კეთილდღეობას. ამ სფეროში ევროკავშირი ეხმარება საქართველოს, მაგალითად, დაცული ტერიტორიების განვითარებაში და წყლის რესურსების დაცვაში წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის ინფრასტრუქტურის სრულყოფის და წყლის ხარისხისა და ნაკადების მონიტორინგისთვის აღჭურვილობის უზრუნველყოფის გზით.

მრავალი წლის განმავლობაში, ევროკავშირი მუშაობდა ბუნებრივი რესურსების მართვის გაუმჯობესებისა და კლიმატ-ნეიტრალური, რესურსების მხრივ ეფექტიანი და ცირკულარული ეკონომიკის მისაღწევად. საქართველოში ევროკავშირი, მაგალითად, მხარს უჭერს ნარჩენების გაუმჯობესებულ მართვას, პოლიტიკის შემუშავებას, როგორიცაა მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობა, მდგრადი შეფუთვის ინდუსტრია კლასტერული განვითარების გზით და სხვა.

კვების მდგრად სისტემებზე გადასვლა არის მწვანე გარდაქმნის ძირითადი კომპონენტი, რომელიც სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მდგრადობას უზრუნველჰყოფს. ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს მუშაობას ამ სფეროში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო – ENPARD პროგრამების ფარგლებში.

ენერგოსექტორი, გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ექსპერტული ცოდნით, რათა გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებს მიუახლოვდეს და ასევე პირდაპირ ეხმარება ბუნებრივი პარკების განვითარებაში, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებაში, უფრო ეკოლოგიური ზრდის შესაძლებლობების განვითარებაში, ნარჩენების მართვის და წყლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში და ეკოლოგიური რისკებისა და ზემოქმედების უკეთესი მართვის მექანიზმების შექმნაში. ევროკავშირი აფინანსებს უამრავ ინფრასტრუქტურულ პროექტს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის, ნარჩენების მართვისა და ეკოლოგიური ტრანსპორტის სექტორებში.

ენერგეტიკის სექტორში ევროკავშირი მუშაობს ევროკავშირის ძირითად ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანაზე, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურისა და კავშირების განვითარებაზე და ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის წყაროების წინ წამოწევაზე. ეს ხელს უწყობს ელექტროენერგიის გადასახადების შემცირებას, გარემოს დაცვას და მომხმარებლებისთვისაც უკეთეს პირობებს ქმნის.

„გლობალური კარიბჭე“ საქართველოში

„გლობალური კარიბჭე“ არის ევროპული სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს გონივრული, სუფთა და უსაფრთხო კავშირების განვითარებას ციფრულ, ენერგეტიკულ და სატრანსპორტო სექტორებში და ჯანდაცვის, განათლებისა და კვლევის სისტემების გაძლიერებას მთელ მსოფლიოში.

„გლობალური კარიბჭე“ სრულად შეესაბამება გაეროს 2030 წლის დღის წესრიგსა და მის მიზნებს მდგრადი განვითარებისთვის, ასევე, კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმებას.

„გლობალური კარიბჭე“ მიზნად ისახავს 300 მილიარდ ევრომდე ინვესტიციების მობილიზებას მსოფლიოს მასშტაბით. 2024 წლის სექტემბრისთვის, ევროკავშირმა ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმით (EIP) გათვალისწინებული „გლობალური კარიბჭის“ ფარგლებში, საქართველოსთვის, სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების სახით 2.1 მილიარდი ევრო მოიზიდა.

„ევროპის გუნდის“ მიდგომის საშუალებით, „გლობალური კარიბჭე“ ევროკავშირს, მის წევრ ქვეყნებს და მათ ფინანსურ და განვითარების ინსტიტუტებს აერთიანებს იმისთვის, რომ მოახდინოს კერძო სექტორის მობილიზება ინვესტიციების მოსაზიდად ტრანსფორმაციული ზემოქმედების მიზნით.

„გლობალური კარიბჭე“ მოიცავს ხუთ მთავარ თემას (ციფრული ტექნოლოგიები, კლიმატი და ენერგია, ტრანსპორტი, ჯანდაცვა, განათლება და კვლევა).

საქართველოში „გლობალური კარიბჭე“ ძირითადად ხორციელდება შემდეგი ექვსი საფლაგმანო ინიციატივის მეშვეობით, რომელიც ეკონომიკურ და საინვესტიციო გეგმაში არის შეტანილი:

კავშირები შავი ზღვით – ეს საქართველოსთვის პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ საფლაგმანო ინიციატივის ფარგლებში არსებული ორი პროექტი – წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელისა და წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელის განთავსება „გლობალური კარიბჭის“ პრიორიტეტული პროექტებია.

ეკონომიკის აღდგენა – 80 000 მცირე და საშუალო ზომის საწარმოს მხარდაჭერა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებებიდან – DCFTA) სარგებლის მისაღებად.

ციფრული კავშირი მოქალაქეებისათვის – 1000 სოფლის უზრუნველყოფა მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ინტერნეტის ინფრასტრუქტურით.

ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება – თბილისში, 1 მილიონზე მეტი ადამიანისათვის უფრო სუფთა ჰაერი.

ენერგოეფექტურობა საცხოვრებელ შენობებში – ევროკავშირის ინვესტიციები რეგიონული და ორმხრივი პროექტების საშუალებით, გაზრდის ენერგოეფექტურობას. ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების გზით მოქალაქეებს ენერგიაზე ნაკლები ხარჯები და ცხოვრების უკეთესი ხარისხი ექნებათ.

რატომ გაყიდა ცეზარ ჩოჩელმა კომპანიები – „ზედაზენი“ და „მაგნიტი“

მაკა რუხაძე

ცეზარ ჩოჩელმა, მის მიერ დაფუძნებული კომპანია „ზედაზენი“ გაყიდა. ქართული ლუდის კომპანიის მფლობელის ცვლილება ოფიციალურად უკვე დაადასტურა კონკურენციის სააგენტომ. ცნობილია მყიდველის ვინაობაც – ამიერიდან, „ზედაზენის“ მფლობელი კომპანია „დეილია“, რომელიც მანამდე სუპერმარკეტების რამდენიმე მსხვილი ქსელს – „სპარს“, „იოლსა“ და „გვირილას“ ფლობდა. „ზედაზენის“ გარდა, ჩოჩელმა კიდევ ერთი კომპანია „მაგნიტიც“ გაყიდა და ეს კომპანიაც „დეილის“ საკუთრებაში გადავიდა. კომპანია „დეილის“ ოფიციალური მფლობელები არიან ბიზნესმენები – დავით კუხალაშვილი, ზურაბ ზაქარიაძე და არჩილ გეგენავა.

ცვლილებები საცალო ვაჭრობის ბიზნესში

სუპერმარკეტების ქსელმა „დეილი“, „ქართული ლუდის კომპანია“ და „რითეილ ინვესთმენთი“ ანუ „მაგნიტი“ შეიძინა. საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ ამ კონცენტრაციებე თანხმობაც გასცა.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (GCCA), FMCG და სასმელების წარმოების ბაზარზე კონცენტრაციებზე თანხმობა გასცა. კერძოდ, ერთ შემთხვევაში საკითხი ეხება – შპს „დეილის“ მიერ შპს „რითეილ ინვესთმენთის“ 100%-იანი წილის შეძენას, ხოლო მეორე მეორე შემთხვევაში – შპს „დეილის“ მიერ სს „ქართული ლუდის კომპანიის“ აქციების 100%-ის შეძენის გზით განსახორციელებელ კონცენტრაციას:

„შპს „დეილის“ მიერ, შპს „რითეილ ინვესთმენთის“ კონცენტრაციასთან დაკავშირებით, GCCA-ის მიერ მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2023 წელს, FMCG ბაზრის საცალო დონეზე, ქვეყნის მასშტაბით, ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა 12 000-მდე კომპანია. ბაზრის სრული მოცულობა შეადგენდა 11.983 მილიარდ ლარს. განსახილველი კონცენტრაციების განხორციელებამდე, ბაზრის ყველაზე მსხვილი მონაწილის წილი არ აღემატებოდა 13%-ს.

არსებული მდგომარეობით, ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი (HHI) შეადგენს 461 ერთეულს, რომელიც კონცენტრაციის განხორციელების შედეგად იზრდება 581 ერთეულამდე. შესაბამისად, სააგენტოს შეფასებით, ბაზარი დაბალკონცენტრირებულია და განსახორციელებელი კონცენტრაციის შედეგად, კონცენტრაციის ინდექსის არსებით ცვლილებას ადგილი არ აქვს.

რაც შეეხება შპს „დეილისა“ და სს „ქართული ლუდის კომპანიის“ (ზედაზენი) საქმეს, კონცენტრაციაში მონაწილე მხარეები და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტები წარმოდგენილნი არიან, როგორც წარმოების, ასევე, საბითუმო დისტრიბუციისა და საცალო რეალიზაციის დონეზე. შესაბამისად, სააგენტომ ბაზარზე კონცენტრაციის დონე შეისწავლა სამივე მიმართულებით.

სს „ქართული ლუდის კომპანიის“ მიერ წარმოებული პროდუქციის სეგმენტაციიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილდა ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების ბაზარზეც. სააგენტოს მიერ მიღებული და დამუშავებული მასალების მიხედვით დადგინდა, რომ არაალკოჰოლური სასმელების ბაზარზე, 2023 წელს, მოქმედებდა 215 კომპანია, ბაზრის მოცულობა შეადგენდა 464 757 669 ლიტრს, ხოლო ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი (HHI) – 2 590-ს. სააგენტოს პოზიციით, ბაზარი მაღალკონცეტრირებულია, თუმცა კონცენტრაციის ინდექსი მცირედით აღემატება ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის ინდექსის მაქსიმალურ მაჩვენებელს და იგი სს „ქართული ლუდის კომპანიის“ მდგომარეობით არ არის განპირობებული.

რაც შეეხება ლუდის ბაზარს, ამავე წელს, ბაზარზე მოქმედებდა 75 კომპანია, ბაზრის მოცულობა შეა-

დასასრული მე-8 გვერდზე

რატომ გაყიდა ცეზარ ჩოჩელმა კომპანიები – „ზედაზენი“ და „მაგნიტი“

მე-7 გვერდიდან

დგენდა 90 532 597 ლიტრს, ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი (HHI) – 1888 (ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია). სადისტრიბუციო მომსახურების ბაზრის მოცულობამ, 2023 წელს, შეადგინა 6 264 342 157 ლარი, ხოლო ბაზრის კონცენტრაციის ინდექსმა (HHI) – 518.02 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია.

შესაბამისად, სააგენტოს მიერ განხორციელებული ბაზრის ანალიზის, შეფასებული ბაზრების სტრუქტურისა და კონცენტრაციის მონაწილე მხარეების საბაზრო წილების გათვალისწინებით, განსახორციელებელი კონცენტრაციები არსებით გავლენას კონკურენტულ გარემოზე არ მოახდენს“, – ვკითხულობთ კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

2024 წელს, GCCA-ის მიერ 47 644 კონცენტრაცია გადამოწმდა. საანგარიშო პერიოდში, 11 კონცენტრაციაზე გაიცა თანხმობა. ამ დროისათვის, 3 კონცენტრაციაზე კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის საკითხის შეფასება მიმდინარეობს, ხოლო 6 კონცენტრაციის შესაძლო შეუტყობინებლობის ფაქტებზე, ადმინისტრაციული საქმისწარმოება დაიწყო.

„ქართული ლუდის კომპანია“, იგივე „ზედაზენი“ 2011 წელს დაფუძნდა. კომპანია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ იმართება. რაც შეეხება შპს „რითეილ ინვესთმენთს“, იგივე „მაგნიტს“, კომპანია 2017 წელს დაფუძნდა და მისი 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ჩოჩელი ინვესტმენტ გრუპი“.

სუპერმარკეტების ბაზრის ფინანსური ანალიზი

დავიწყოთ კომპანია შპს „დეილით“, რომელიც 2013 წელს დაფუძნდა და რომლის სტრატეგიასაც საქართველოს რეგიონებში სუპერმარკეტების ქსელების განვითარება წარმოადგენდა. ამ დროისთვის, კომპანია „დეილის“ 25.9%-იან წილს ფლობს ზურაბ ზაქარიაძე; 11.05%-იან წილს – დავით კუხალაშვილი; 7%-ს ფლობს – რუსუდან მაისურაძე; 1.05%-ს – მარინა პეტრიაშვილი; 25%-იანი წილის მფლობელია შპს „დიენეი კაპიტალი ინვესტი“, ხოლო 30%-ს ფლობს – შპს „ჰოლდინგ. ჯი“.

შპს „დეილი“, რომელიც უკვე „ზედაზენისა“ და „მაგნიტის“ ოფიციალური მფლობელია, ქართული სუპერმარკეტების ბაზარზე ერთ-ერთი, ყველაზე სწრაფად მზარდი ჯგუფია. 2024 წლის ზაფხულში, კონკურენციის სააგენტოსგან მან უკვე მიიღო თანხმობა „ფუდმარტის“ ანუ „სპარისა“ და „იოლის“ ქსელებთან კონცენტრაციაზე.

2023 წლის ფინანსური ანგარიშის თანახმად, კომპანია „დეილის“ აქტივები 129 მილიონ ლარს შეადგენს, გაყიდვები – 327 მილიონ ლარს. ამასთან, შარშან, ამ კომპანიას 5.4 მილიონი ლარის ზარალი მიუღია.

რაც შეეხება „ზედაზენს“, ამ კომპანიის აქტივების მოცულობა, 2023 წლის ფინანსური ანგარიშის თანახმად, 152 მილიონ ლარს შეადგენს, მისი შემოსავალი გასულ წელს 113.6 მილიონი ლარი, წმინდა მოგება კი – 1.8 მილიონი ლარი იყო.

2023 წლის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით, „მაგნიტი“ 349 სუპერმარკეტით იყო წარმოდგენილი, მისი მთლიანი გაყიდვები – 570 მილიონი ლარი, წმინდა მოგება კი 2.4 მილიონი ლარი იყო. კომპანიის აქტივები, გასული წლის მდგომარეობით, 245.5 მილიონ ლარს შეადგენდა.

არჩილ გეგენავა და შპს „დეილი“

2024 წლის აგვისტოში, შპს „დეილიმ“ კომპანია „ფუდმარტის“ 100%-იანი წილი შეიძინა. იმავე პერიოდში, „დეილის“ 30%-იანი წილის მფლობელი გახდა კომპანია „ჰოლდინგ.ჯი“. შესაბამისად, „დეილი“ გახდა „ფუდმარტის“ შემადგენლობაში შემავალი ქსელების – „სპარისა“ და „იოლის“ მფლობელიც, ხოლო თავად ამ ქსელების დამფუძნებელი ბიზნესმენი, არჩილ გეგენავა „ჰოლდინგ.ჯი“-ს მეშვეობით, „დეილის“ 30%-იანი წილის მფლობელი გახდა.

აღნიშნული გარიგების შედეგად, „დეილის“ ჯგუფი საქართველოს სუპერმარკეტების უმსხვილესი ქსელის მფლობელია. მეტიც, „დეილი“ ჯგუფი, რომელიც უკვე აერთიანებდა „დეილის“, „სპარის“, „იოლისა“ და „გვირილას“ ქსელებს, ახლა უკვე „მაგნიტს“ და „ზედაზენსაც ფლობს.

კონკურენციის სააგენტოში აცხადებენ, რომ ეს გაერთიანება მცირედით გაზრდის კონცენტრაციის დონეს, თუმცა მთლიანობაში, ბაზარი მაინც კონკურენტული იქნება. კონკურენციის სააგენტოს მონაცემებით, 2023 წელს, FMCG ბაზარზე ეკონომიკურ საქმიანობას 12 000-მდე კომპანია ახორციელებდა. ბაზრის სრული მოცულობა კი 11.983 მილიარდ ლარს შეადგენდა.

განსახილველი კონცენტრაციების განხორციელებამდე, ამ ბაზრის ყველაზე მსხვილი მონაწილის წილი არ აღემატებოდა 13%-ს. არსებული მდგომარეობით, ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი (HHI) შეადგენს 461 ერთეულს, რომელიც ახალი გარიგების განხორციელების შედეგად, 581 ერთეულამდე იზრდება.

სააგენტოს შეფასებით, ბაზარი დაბალკონცენტრირებულია და განსახორციელებელი კონცენტრაციის შედეგად, „კონცენტრაციის ინდექსის არსებით ცვლილებას ადგილი არ აქვს.

სამართალი

№39 20 ნოემბერი 2024 წ

უნდა გამკაცრდეს თუ არა ნარკოპოლიტიკა

საშინელი სტატისტიკის ახალი დეტალები

გათო ჯაფარიძე

ქართველ სამართალდამცავებს რომ ჰკითხო, ყველაფერი იდეალურად იქნებოდა, ხელისუფლებამ არასრულწლოვნების მიმართ კანონმდებლობა რომ გაამკაცროს და ნარკოლიბერალიზაციას მოუხერხოს რამე. ვაღიაროთ, რომ ნარკოლიბერალიზაციის გამო, საქართველომ სერიოზული ზარალი ნახა და ეს ზარალი ჩვენს გენოფონდზე აისახება. რამდენიმე ასეულს გასცდა უკვე იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც ნარკოლიბერალიზაციის შემდეგ, ნარკოტიკებს გაუთამამდნენ და ზედოზირების შედეგად გარდაიცალნენ. ბოლო შემთხვევა გასულ კვირას მოხდა – თბილისში, 23 წლის ლაშა მინდელი და 26 წლის, სამი შვილის დედა, ელენე ძინძიბაძე იპოვეს გარდაცვლილები. როგორ გგონიათ, ამ ახალგაზრდებს ჰქონდათ სიკვდილის სურვილი? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ სწორედ ნარკოლიბერალიზაციის გამო, ისინი „მიეპარნენ“, სავარაუდოდ, ჯერ მსუბუქ ნარკოტიკს, შემდეგ გაუთამამდნენ, უფრო ძლიერი გასინჯეს და.. დარჩა სამი არასრულწლოვანი დედის გარეშე, დედისერთა ბიჭის მშობლები კი – შვილის გარეშე...

სამწუხაროდ, ნარკოტიკების შეძენა საქართველოში (არც სხვაგან) პრობლემას აღარ წამოადგენს. ინტერნეტ-აპლიკაციით, მარტივად შეგიძლია შეიძინო, გადაიხადო კრიპტო-ვალუტით და ვერავინ იპოვის ვერც გამყიდველს და ვერც – მყიდველს. რაც უნდა რესურსი გამოყოს შსს-მ და რაც უნდა IT-სპეციალისტები დაამატოს, აპლიკაციების დაბლოკვას და გაუქმებას ვერ მოახერხებს, ისინი ისე მრავლდებიან, როგორც სოკო – ნაწვიმარზე და რაც მთავარია, თითოეულის გამოვლენა-დაბლოკვას გარკვეული პერიოდი სჭირდება (დღეები), შექმნას – ერთი საათი. ამიტომ, შსს-ს დადანაშაულება ცოტა უადგილოა და ზოგადად, შსს-ს თანამშრომლებს უბრალოდ ვერ დავადანაშაულებთ, იმიტომ რომ...

„ვხედავთ, ღამე როგორ დადიან ქუჩებში ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ არასრულწლოვნები და ვერაფერს ვაკეთებთ, რადგან დაკავებას აზრი არ აქვს. ჯერ ერთი, არასრულწლოვანია და სასჯელს არავინ მისცემს და მეორეც, ნარკოლიბერალიზაციის გამო, მეორე დღეს გარეთ იქნება, ისევ იმ ქუჩაზე ამოივლის და რომ დაგვინახავს, შეურაცხყოფას მოგვაყენებს, ცოცხალ-მკვდარს გვაგინებს და ჩვენ ისევ ვერაფერს ვეტყვით სწორედ იმის გამო, რომ არასრულწლოვნების დასჯაზე კანონი არ არსებობს. ასე ვკარგავთ თაობებს და რაც მთავარია, ვერაფერს ვაკეთებთ.

გაამკაცრეთ კანონი, გააუქმეთ ეს ნარკოლიბერალიზაცია და მერე ნახავთ, რა შეუძლია პოლიციას. ასე კი ყველაფერს აზრი ეკარგება“, – გვეუბნება არაერთი სამართალდამცავი და ისინი მართლები არიან.

„ღამე მუდმივად ვპატრულირებთ, დავდივართ და საჭმელად თუ გავჩერდით, რომელიმე არასრულწლოვანი, ღამის 2-3 საათზე მოდის და გინებას გვიწყებს. ხელს შეახებ და ცალკე არასამთავრობოები შეგჭამენ, ცალკე – სახალხო დამცველის აპარატი. დაკავებით ვერ აკავებ და, უბრალოდ, მანქანას ვქოქავთ, იმ ადგილს ვტოვებთ და უკნიდან გინება გვესმის. ეს არის მწარე რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ და ვმუშაობთ“, – ესეც სამართალდამცავის მონაყოლია.

ახლადარჩეული პარლამენტის წევრებმა წინასაარჩევნოდ პირობა დადეს, რომ გააუქმებდნენ ოპოზიციურ პარტიებს, რომ კონსტიტუციაში გააკეთებდნენ ჩანაწერს ოჯახური ღირებულებების შესახებ, მაგრამ არავის ხმა არ ამოუღია არც ნარკოლიბერალიზაციის გაუქმებაზე, არც – არასრულწლოვნების მიმართ რამე ფორმით სასჯელის შემოღებაზე. არადა, დრომ გვიჩვენა, რომ ამის გაკეთება აუცილებელია, თან რაც შეიძლება, მალე.

როგორ გგონიათ, მხოლოდ ეს ორი ახალგაზრდა დაიღუპა ბოლო დღეების, თუ კვირა-კვირების განმავლობაში? არა, მსხვერპლი ბევრად დიდია, განსაკუთრებით რეგიონებში, მაგრამ ხმამაღლა ამაზე არავინ საუბრობს, არც ოჯახები ცდილობენ ყვირილს, სირცხვილის გრძნობა წვავთ, იციან, რომ ეს არ არის კარგი, რომ ეს არ არის მისაღები და ამიტომ, საკუთარ მიცვალებულს ჩუმად მარხავენ. არც ადგილობრივ ხელისუფლებას აწყობს ხმის ამოღება და ყვირილი, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მათ რეგიონსა თუ მუნიციპალიტეტში რაღაც ისე ვერ არის და ახალგაზრდები ნარკოტიკებს აქტიურად მოიხმარენ. არადა, რეალურად, ეს პრობლემა ყველგანაა, მაგრამ ხმის ამოღების აზრს ვერ ხედავს ვერავინ იმიტომ, რომ არ არსებობს პრევენციული ღონისძიება, რომელსაც გაატარებ და რაც მთავარია, არ არსებობს ბერკეტი, რომლთაც ეს პრობლემა მოგვარდება.

თუ გახსოვთ, წინა ხელისუფლების დროს, „მარიუხანას“ მოხმარების გამო, ადამიანებს ყველაზე ცოტა, 4-6 წლით უშვებდნენ ციხეში, თუმცა იყვნეენ ისეთებიც, რომლებიც „მარიხუანას“ გამო, სასჯელს 10 და მეტი წლით იხდიდნენ. იყო თუ არა ეს სასტიკი სასჯელი და არაპროპორციული? იმ გადმოსახედიდან ჩანდა, რომ იყო, მაგრამ ამ გადმოსახედიდან იცით, რა ჩანს? – ყველა, ვინც მძიმე ნარკოტიკზე გადავიდა, ამბობს, რომ ყველაფერი „მარიხუანას“ მოხმარებით დაიწყო და ეგონა, რომ ერთობოდა, მაგრამ მერე გართობამ სერიოზული სახე მიიღო და საბოლოო ჯამში, დასრულდა იმით, რითიც დასრულდა. აგერ, 23 და 26 წლის ახალგაზრდებმაც დაასრულეს ისე, როგორც არავის ვუსურვებთ, მაგრამ... სად არის გამოსავალი?

არ ვამბობ, რომ ნარკოტიკების მომხმარებლებს კვლავ „ლიანდაგივით სროკი“ ჩამოურიგონ, მაგრამ სულ დაუსჯელად მათი დატოვეება აღარ შეიძლება და არც ის გამოდგება არგუმენტად, ნარკომანი ავადმყოფია და დაჭერა კი არა, მკურნალობა სჭირდებაო. არის აგერ, მეტადონის პროგრამა და გულწრფელად მითხარით, ამ პროგრამით გამოჯანმრთელებული და ნარკოტიკების მოხმარებაზე უარის მთქმელი, ვინმე გინახავთ? ის, რომ მეტადონის პროგრამა არ ამართლებს, იქიდანაც ჩანს, რომ მეტადონს ჯერ აბებით არიგებდნენ, რომელსაც მომხმარებლები პირის ღრუში ინახავდნენ, გარეთ გამოსულები კი იმ მეგობრებს უნაწილებდნენ, რომლებიც ამ პროგრამაში არ იყვნენ. მერე აბები სქელი მასით შეიცვალა, პლასტელინის მსგავსი მასით, რომელსაც მეტადონის პროგრამაში ჩართულები კბილებზე იგლესდნენ, შემდეგ, გარეთ გამოსულები, იფხეკდნეენ და ისევ მეგობრებს უნაწილებდნენ. ახლა კი არის სითხე, რომლის დალევასაც ადგილზე აიძულებენ და თითქოს, ჯერჯერობით, ვერაფერი მოიფიქრეს, მაგრამ არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ნარკოდამოკიდებულებს ეს სითხე პირით გარეთ გამოაქვთ და ისევ მეგობრებს უნაწილებენ. ხომ ხვდებით, რაზე მიდიან ნარკოტიკების მომხმარებლები, რას სვამენ, რას ღეჭავენ იმისთვის, რომ „ლომკა“ არ ჰქონდეთ და ჩვენ კიდევ იმას ვამტკიცებთ, ვმკურნალობთ და ვშველითო.

ცალკე განხილვის თემაა არასრულწლოვნები. ხომ არ შეიძლება, ერთ არასრულწლოვანს 40-ზე მეტი ხელწერილი ჰქონდეს დაწერილი, რომ მეტს აღარ იზამს, აღარ დააშავებს, აღარ ჩატეხავს მაღაზიის ვიტრინას, არ მოიპარავს სიგარეტსა თუ ტკბილეულს იმის იმედად, რომ მას, უბრალოდ, ვერ დასჯიან?! ჰო, ვერ და ეს „ვერ“ არის მთავარი სიტყვა. თუ დაიჭერენ, იცის, რომ ორი საათის შემდეგ, დაახლოებით, ისეთი ხელწერილის დაწერა მოუწევს, როგორიც კუკარაჩას დაუწერეს, თავის დროზე, ვერელმა მოზარდებმა. მეტიც, არასრულწლოვანთა შორის, ერთგვარი შეჯიბრიც კი არის წერილების ოდენობასთან დაკავშირებით და რაც უფრო მეტი ასეთი ახსნა-განმარტება თუ პატიების წერილი აქვს დაწერილი არასრულწლოვანს, მით მეტი ავტორიტეტით სარგებლობს თანატოლებში.

„ელემენტარულად, იცით, რისი უფლება არ გვაქვს? ვთქვათ, დავაკავეთ არასრულწლოვანი და გვაქვს გონივრული ეჭვი, რომ ის ნარკოტიკეების ზემოქმედების ქვეშაა. თუ ის უარს იტყვის ანალიზის ჩაბარებაზე (იგულისხმება სისხლის, ან შარდის ანალიზი), ჩვენ უფლება არ გვაქვს, მას ამის გაკეთება ვაიძულოთ ანუ ეჭვი რჩება ეჭვად, ამ დროს კი, სინამდვილეში, ზუსტად ვიცით, რომ ის ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშაა და მტკიცებულება თუნდაც იმისთვის გვჭრდება, დავადგინოთ, სად და ვისგან შეიძინა ნარკოტიკული საშუალება, რომელი ნარკოტიკი მოიხმარა, მაგრამ... მისი ერთი უარი საკმარისია იმისთვის, რომ საერთოდ ვერაფერი გავიგოთ და კითხვაც კი ვერ დავსვათ“, – გვეუბნება სამართალდამცავი.

სამწუხაროდ, ყველაფერი ეს, ძალიან კარგად იციან არასრულწლოვნებმაც და ნარკოტიკების მომხმარებლებმაც. ისინი ამ ყველაფერს გადასარევად იყენებენ და პოლიციისთვის, ისედაც გართულებულ ძიების პროცესს, უფრო ართულებენ. სამართალდამცავები კვლავ აკავებენ ნარკორეალიზატორებს, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ რადგან გაზრდილია მოხმარება, გაზრდილია გამსაღებელთა რაოდენობაც და რაც მთავარია, გაზრდილია გასაღების გზებიც. ეგ კი არა და, „მარიხუანას“ მიწოდებაზე კურიერების მოძიება ოფიციალურად მიმდინარეობს და არავის არ ეშინია იმის, რომ „მარიხუანას“ ჰყიდის. მისი მოხმარებისთვის საჭირო „ინვენტარი“ კი ფეხის ყოველ ნაბიჯზე იყიდება, თუმცა არც ძირგახვრეტილი პლასტმასის ბოთლების ნაკლებობას ვუჩივით – განსაკუთრებით დილის საათებში, ასეთი ბოთლები მრავლად გვხვდება სანაგვე ურნებთან და ამაზე მეეზოვეებიც საუბრობენ, თუმცა როცა ძალოვანს აქვს ხელ-ფეხი შეკრული, მეეზოვე რას იზამს, ან რას შეცვლის?! ჰოდა, სანამ ასე იქნება, ნუ გაგვიკვირდება, თუ ზედოზირებით გარდაცვლილ ახალგაზრდებს სულ უფრო ხშირად ვიპოვით.

სპეცოპერაცია – დაკავებულია გორელი „ნარკობარიგა“

მანქანიდან გაუჩინარებული 200 ათასი – როგორ გახვიეს კრიმინალებმა შარში დისტრიბუტორი

ბათო ჯაფარიძე

სავარაუდოდ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც სანაცნობოში ერთი დისტრიბუტორი მაინც არ ჰყავს. ძალიან, ძალიან მომრავლდნენ დისტრიბუციის მანქანები და მათ დააქვთ ყველფერი, რისი წაღებაც კი შესაძლებელია. არიან საერთაშორისო გადამზიდები, რომლებიც სოლიდურ თანხას იღებენ ტვირთის ჩამოტანასა თუ გაგზავნაში. მეტიც, არაერთმა ქართველმა აშშ-ში, მეგობრებს დააფუძნებინა კომპანია, რომელიც ევაკუატორით მომსახურებას ითვალისწინებს. ევაკუატორი შტატებშია, კომპანიის ოპერატორი – საქართველოში და ვთქვათ, რეკავს მძღოლი, რომელსაც ევაკუატორი სჭირდება. მას აქ პასუხობენ, ეკითხებიან მისამართს და შემდეგ საქართველოდან ევაკუატორი იღებს შეკვეთას, მიდის მითითებულ მისამართზე და ასრულებს თავის მოვალეობას. რა მოგება აქვს ერთ, ან მეორე მხარეს? აქაური ოპერატორი თითო შეკვეთიდან 10%-ს იღებს და იმის გათვალისწინებით, რომ ევაკუატორის მომსახურება 500 დოლარამდე ჯდება, თითო ზარი 50 დოლარი გამოდის. რაც შეეხება იქაურ მძღოლს, მას ურჩევნია, აქ ჰყავდეს ოპერატორი, ვიდრე აშშ-ში, რადგან იქ თითო შეკვეთიდან, ყველაზე ცოტა, 20%-ს ითხოვენ. მოკლედ, ორივე მხარე კმაყოფილია. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, თუ გყავს ბევრი მანქანა და დისტრიბუციის საქმე კარგად გაქვს გამართული, სოლიდური შემოსავალიც გრჩება.

„მე დისტრიბუროტი ვარ. 15 წელია, ამ საქმეს მივდევ, ყველანაირი ტვირთი გადამიტანია, გადამიტანია დიდი თანხაც და ისე ვახერხებ, რომ ადგილამდე ყოველთვის მიმაქვს. ზოგადად, დიდი თანხის წაღებას ვერიდები ხოლმე, რადგან რისკია, მაგრამ... თუ პიროვნება სანდოა, უარს არ ვეუბნები. დაცვის პოლიციის, ან ძალოვნების დაქირავება ძვირი ჯდება, მე კი შედარებით იაფს ვიღებ. მოკლედ, გუშინ, ერთმა ძველმა კლიენტმა მთხოვა, რომ თბილისიდან გორში, 200 ათასი ლარი წამეღო. სანაცვლოდ, 4 ათას ლარს მაძლევდა. დავთანხმდი და დავთანხმდი იმ მიზეზით, რომ ჯერ ერთი, ამ ტრასაზე ყველა პატრული მიცნობს, მეორეც – არ არის დიდი მანძილი და მესამე, ამ მარშრუტით ადრეც წამიღია უფრო მეტი თანხა და პრობლემა არ ყოფილა. თბილისიდან რომ გავედი, პატრულმა გამაჩერა. ორნი იყვნენ და მანქანიდან გადასვლა მომთხოვეს. გადავედი, მათ მანქანასთან მივედი და თან, ჩემი ავტომობილი ჩავკეტე, რა ვიცი, ეშმაკს არ სძინავს, ამხელა თანხა მიდევს ჩანთით. მათ შემამოწმეს, ჩამაბერინეს, მერე მეორედ ჩამაბერინეს და გამომიშვეს. მანქანაში დავბრუნდი, ადგილამდე შეუფერხებლად ჩავედი და როცა კლიენტს ჩანთა გადავეცი, მითხრა, უნდა დავთვალოო. არ გამკვირვებია, წინაზეც სულ თვლიდა, სათვლელი მანქანა ჰქონდა და დიდი დრო არ მიჰქონდა. სიგარეტს მოვუკიდე, მან ჩანთა ჩემს თვალწინ გახსნა და იქიდან ფულის ზომაზე დაჭრილი, ჩვეულებრივი თაბახის ფურცლები ამოიღო. ერთი ლარიც კი არ იყო ჩანთში. კინაღამ გული გამისკდა, მაგრამ რა უნდა მექნა. მაშინვე ის საპატრულო მანქანა გმახსენდა, დავრეკე პატრულში, ამ ადგილზე ვინ მორიგეობს-მეთქი და დარწმუნებული ვიყავი, რომ გამიჩალიჩეს, რომ იქ ის პოლიციელები აღარ დამხვდებოდნენ, მაგრამ შევცდი, მართლა მორიგეობდნენ და მართლა ნამდვილი პატრული იყო. მათ მხრები აიჩეჩეს, 112-ში ვიღაცამ დარეკა, რომ ამა და ამ მანქანის მძღოლი ძალიან მთვრალიაო და ამიტომ გაგაჩერეთო. გადავამოწმე და მართლაც, ზარი შევიდა 112-ში. სწორედ იქ გამომიცვალეს ჩანთა, ჰო, ჩანთა და არა – ფული, მაგრამ... ზუსტად მახსოვს, პოლიციელებსაც ახსოვთ, რომ მანქანიდან გადასვლისას, კარი ჩავკეტე დისტანციური პულტით. მიშველეთ, 200 ათასი ჩემთვის ძალიან, ძალიან ბევრი ფულია“, – განაცხადა მამაკაცმა.

ერთი შეხედვით, სამართალდამცავებს ბევრი ხელჩასაჭიდი უნდა ჰქონოდათ. პირველ რიგში, 112-ში განხორციელებული ზარი, მერე პოლიციის მანქანაზე დამონტაჟებული კამერა, მაგრამ... უკანა ხედვის კამერა, უბრალოდ, არ იყო დამონტაჟებული, ხოლო ნომერი, რომლითაც დარეკეს, გარდაცვლილ მამაკაცს ეკუთვნოდა. გამოდიოდა, ვიღაცამ იმდენად ითავხედა, რომ ქურდობის საქმეში მათდაუნებურად, საპატრულო პოლიციაც ჩართო და ამ დანაშაულის გახსნა ღირსების, მუნდირის საქმე იყო. ის, რომ ჩანთა გახლდათ შეცვლილი, ფულის მეპატრონემაც დაადასტურა, რომელმაც მხრები აიჩეჩა, მე ამ საქმეში დამხმარედ ვერ გამოგადგებით, არავინ იცოდა, სად და როგორ ვატანდი ფულს, მხოლოდ მძღოლი მახლდა და ჩემმა მძღოლმა იმდენი იცის, ამის გამო არ დახურდავდებოდა, მისი თანდასწრებით, ბევრად მეტი თანხა გამიცია და ყოველთვის მშვიდობიანად დასრულებულაო. გამოდიოდა, რომ იყო კიდევ ვიღაც მესამე, ვინც ყველაფერ ამის შესახებ იცოდა. ეჭვი მიიტანეს ფულის მიმღებზე, მაგრამ მოტივი? მას ხომ უნდა სცოდნოდა, რომ ჩვეულებრივი დისტრიბუტორი 200 ათასს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვერ გადაუხდიდა და თვეში 200-300 ლარის მიღების იმედით, ასეთ რისკზე არ წავიდოდა. სამწუხაროდ, არც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს შეუნიშნავთ რამე საეჭვო, თუმცა ის კი თქვეს, როცა ეს ავტომობილი გავაჩერეთ, უკან თითქოს, კიდევ ერთი მანქანა გაჩერდა ავარიული შუქებით, მაგრამ ყურადღება არ მიგვიქცევია, მალე წავიდაო. გამოცანად რჩებოდა ისიც, როგორ გახსნეს ელექტროსაკეტით დაკეტილი ავტომობილი უხმაუროდ, თან 10 მეტრში, პოლიცია იდგა... სამართალდამცავები დამნაშავეს დიდი ინტერესით ეძებდნენ.

მომხდარიდან ლამის ერთი თვე გავიდა, მაგრამ ფულით სავსე ჩანთა ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო. დაზარალებული თმას იგლეჯდა, ეს რა დამემართაო და მას ორივე მხარე „აწვებოდა“ – ფულის მიმცემიც და მიმღებიც. მეტიც, მათ ჰქონდათ ეჭვი, რომ თანხა სწორედ დისტრიბუტორმა მიისაკუთრა იმ იმედით, რომ არაფერს მოსთხოვდნენ, ვერაფერს დაუმტკიცებდნენ და ფული შერჩებოდა. მით უმეტეს, მას შვილი ჰყავდა ავად და თუ რამეს შოულობდა, ყველაფერი მის მკურნალობაში მიდიოდა. მას ჰქონდა ბანკის უზარმაზარი ვალი, ბინა გირაოში ჩადებული და შეიძლება ითქვას, დღე-დღეზე, ეს ვალები უბრალოდ დაახრჩობდნენ, ბინის გარეშეც დარჩებოდა და აღარც პროცენტების გადახდის შესაძლებლობა ექნებოდა. ეს ვერსია განიხილეს სამართალდამცავებმაც, მაგრამ სად და რაც მთავარია, როდემდე უნდა დაემალა ფული? თუ ბინას დაიხსნიდა და ვალების გადახდას დაიწყებდა, ხომ ყველაფერი ნათელი გახდებოდა?! ამიტომ, მას ყოველი შემთხვევისთვის უთვალთვალებდნენ, ტელეფონზეც უსმენდნენ, მაგრამ ამაოდ – კაცი ყოველდღიური ფულის საშოვნელად, ნემსის ყუნწში ძვრებოდა.

კიდევ ორი კვირა გავიდა და დისტრიბუტორი გამომძიებელს სახლთან დახვდა. მან იქაურობას მოავლო თვალი, მერე კი ჩურჩულით დაიწყო – მგონი ვხვდები, ფული ვინ მომპარაო.

„სამიოდე დღის წინ, იმ კაცმა, ვისთვისაც ფული უნდა ჩამეტანა, დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. მერე მითხრა, თუ გინდა, ვალი გამოგიქვითო, ჩემთვის 20 უფასო რეისს გააკეთებ გორიდან ბათუში და აქედან „ტავარს“ გაგატან, იქიდან კი ფულს წამოიღებ, თან უკან ჩემი ბიჭებიც გამოგვყვებიან, დაცვის „პონტში“ და არავინ არაფერს წაგართმევს და მოგპარავსო. დავთანხმდი და დიდი ყუთით რაღაც ჩამიდეს მანქანაში, მითხრეს, ხელნაკეთი ნივთებიაო. ბათუმიდან ფული წამოვიღე, ჩავაბარე და მეორე რეისი ხვალ მაქვს, მაგრამ იცით, რაშია საქმე? დისტრიბუტორებს ლამის მთელ საქართველოში ვიცნობ და ერთ-ერთმა დამირეკა, დღეს გნახე ბათუმში, მაგრამ არ მოვედი, იმ ბარიგასთან რა გინდოდა, წამლის ტარება დაიწყეო? ჰოდა, მივხვდი, ყველაფერი ეს, სპეციალურად „გამიჩალიჩეს“, რომ ნარკოტიკები მაზიდინონ იქეთ და აქეთ. გთხოვთ, მიშველეთ, ასე არ შემიძლია, სამუდამოს მომცემენ, რომ დამიჭირონ და ცოლ-შვილი დამეღუპება“, – თქვა კაცმა და... ატირდა.

სპეცოპერაცია იმ საღამოსვე დაიგეგმა და მეორე დღეს, როცა დისტრიბუტორს ბათუმში მორიგი პარტია მიჰქონდა, „დაცვის“ გარდა, თან 12 ოპერატიული მანქანა მიჰყვებოდა. ავტომობილები ერთმანეთს ენცვლებოდნენ და ასე იარეს ბათუმამდე. როცა საქონელი გაცვალეს და ფულიც თითქმის მიიღეს, საქმეში სამართალდამცავები ჩაერთვნენ. დისტრიბუტორის ვარაუდო გამართლდა – მას გორიდან ნარკოტიკი გაატანეს. შიდა ქართლის პოლიციამ გორელი „ნარკობარონიც“ დააკავა.

მერე, დაკითხვისას გაირკვა, რომ პროფესიონალი მანქანის ქურდი აადევნეს დისტრიბუტორს, მან კარი უხმაუროდ, სპეციალური ელექტრო-მოწყობილობით გააღო, ჩანთა შეცვალა და იმ ადგილიდან ისე გაქრა, საქმეში გართულ პოლიციელებს არაფერი დაუნახავთ. რაც მთავარია, ნარკოტიკი ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან, შემოვლითი გზებით გადმოჰქონდათ და გამოცდილი დისტრიბუტორი სჭირდებოდათ იმისთვის, რომ მას საქონელი მარტივად, დიდი ფულის მოთხოვნის გარეშე წაეღო და თან არაფერი ეთქვა. გაგიკვირდებათ და, იმ კაცს, რომელმაც მანქანიდან ფული მოიპარა, მხოლოდ 3 წელი მისცეს, ნარკოტიკების გამსაღებლებს კი 23 და 25-წლიანი სასჯელები ერგოთ.

ბათო ჯაფარიძე

რამდენიც უნდა ვისაუბროთ, რომ სიყვარული ბრმაა (ხან ყრუ და მუნჯიც), მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ არცთუ იშვიათად (განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში), ქორწინება ერთგვარი გარიგება თუ ანგარებაა. ყველა ეძებს ისეთ ადამიანს, რომელსაც აქვს ბინა, თუნდაც მცირე ბიზნესი და ოჯახის რჩენა-შენახვის პრობლემა არ გააჩნია. დღესაც, არცთუ იშვიათად გაიგონებთ, რომ ოჯახის შენახვა მამაკაცის მოვალეობაა, მაგრამ საბედნიეროდ, წყვილების უმრავლესობა არა მარტო ერთად ზრუნავს ოჯახის ბიუჯეტზე, არამედ, ბავშვებსაც ერთად ზრდიან და აღარ არის ისე, რომ ბავშვი აუცილებლად დედის „პრობლემაა“. აი, ანგარებით გათხოვება, ან ცოლის მოყვანა თავიდანვე, ოჯახის შექმნის არამყარი საფუძველია და ასეთი ოჯახები ხშირად ინგრევა, მაგრამ ბევრი თანაცხოვრებას სიცოცხლის ბოლომდე ახერხებს.

რატომ მოკლა ქალმა ბიზნესმენი ქმარი

სისხლიანი ოჯახური დრამა – სასიყვარულო სამკუთხედის ნიშნებით

პოლიციის ახალგაზრდა გამომძიებელს მეგობარი შეუჩნდა, გინდა თუ არა, ერთი საქმის გამოძიებაში დამეხმარეო. მისი თქმით, გოგო შეუყვარდა, რომელიც ოფიციანტად მუშაობდა და ერთ დღეს, როცა სამსახურთან ელოდა, უკანა კარიდან გამოსულ გოგოს ვიღაც კაცი გადაუდგა, ჯერ სახეში დაარტყა ისე, რომ მაშინვე დაბლა დააგდო, ხოლო მას შემდეგ, რაც ქალი დაეცა, სახეში ფეხი ორჯერ მიარტყა.

„მე ჯერ მოულოდნელობისგან გავშეშდი, მერე თავდამსხმელს ვეცი, მოვერიე, სახეშიც მაგრად ჩავარტყი, მაგრამ ჩემი გოგო ცხვირ-პირიდან სისხლს ასხამდა, უგონოდ იყო და მასთან მივედი, თავდამსხმელი კი გაიქცა. მერე საავადმყოფოში წავიყვანე, დაკითხეს, მეც გამოვკითხე, მაგრამ იფიცება, თავდამსხმელს არ ვიცნობო. მგონია, რომ არ იტყუება, მაგრამ... მასაც ახსოვს და მეც გავიგონე, რომ გამოსულს ჯერ სახელი ჰკითხა, შენ ხარო და მხოლოდ ამის შემდეგ დაარტყა. ამიტომ, მინდა ეს საქმე შენ გამოიძიო, რა მოხდა, რატომ მოხდა“, – ეაჯებოდა მეგობარი გამომძიებელს.

რადგან საქმე უკვე აღძრული იყო, გამომძიებელს მეგობრის დახმარება მხოლოდ იმით შეეძლო, რომ ამბავი მოეკითხა, სხვაგვარად ვერ ჩაერეოდა. მისმა კოლეგებმა ბევრი არაფერი იცოდნენ, მათ ხელთ არსებული ინფორმაცია ზუსტად ემთხვეოდა ბიჭის მონაყოლს და სამწუხაროდ, არც მათ იცოდნენ, ვინ და რატომ გაიმეტა ქალი. რესტორანშიც ბევრი ვერაფერი თქვეს, მხოლოდ მზარეულმა „წამოაყრანტალა“, ეგებ, მაგისი ბებერი თაყვანისმცემლის ოინებიაო. „ბებერ თაყვანისმცემელზე“ არც ბიჭმა იცოდა რამე, არც გოგოს უთქვამს და ამიტომ, მზარეულს ჩაეძიენ, თუმცა ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია, იმ კაცის სახელი და გვარი თქვა. გადამოწმების შედეგად, გაირკვა, რომ ეს კაცი ბიზნესმენი იყო, ცოლი, ორი შვილი და შვილიშვილები ჰყავდა. სამართალდამცავები მის სანახავად წავიდნენ, თუმცა...

„სამი დღის წინ, უბედური შემთხვევა მოხდა. ბიზნესმენი საკუთარი ოფისის აივნიდან გადმოვარდა. იქ იმყოფფებოდა მისი მეუღლე, რომელმაც ყველაფერი დაინახა. საწყალი, ადგილზე გარდაიცვალა და სასწრაფომ ვერაფერი უშველა“, – თქვეს მეზობლებმა და სამართალდამცავებიც მიხვდნენ, რომ ახლა, პანაშვიდებზე, რამეს გარკვევა შეუძლებელი იქნებოდა. სამაგიეროდ, ამ საქმის გამომძიებლის ნახვა არ იყო პრობლემა და მანაც მარტივად ახსნა:

„არანაირი კრიმინალი, კაცი თავად გადმოვარდა აივნიდან, ცოლი უყურებდა, რაღაც კაბელის გასწორებას ცდილობდა, აივანზე დაგებულ მეტლახზე ფეხი აუცურდა და გადმოვარდა. იმ დღეს, დილით წვიმა იყო და მოკლედ, ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა. ცოლი ქმართან იყო სამსახურში, მდივანს ხმაური არ გაუგია, მეტიც, ქალმა ჩაი მოითხოვა და როცა მდივანმა შეუტანა, ქალი სავარძელში იჯდა, ქმარი – აივანზე ეწეოდა და ისინი ძალიან მშვიდად საუბრობდნენ იმაზე, რომ მათი შვილი ორსულად არის და მალე კიდევ ერთი შვილიშვილი უნდა შემატებოდა ოჯახს“.

ძალოვნები უკან დაბრუნდნენ და შეეცადნენ, დაზარალებულისგან გაეგოთ მეტი. როცა მას გარდაცვლილ ბიზნესმენზე ჩამოუგდეს საუბაარი, თვალები აუცრემლიანდა, გავიგე, მაგრამ არ მეგონა, თუ ჩვენს დაშორებას ასე მძიმედ გადაიტანდა და თავს მოიკლავდაო.

„ჰო, მას ვხვდებოდი, მპირდებოდა, ცოლად მოგიყვანო, მაგრამ მერე სხვა გავიცანი, ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე და მივხვდი, რომ ყველაფერი ფული არ არის. ამიტომ, იმ დღეს სამსახურში მივედი მასთან და ვუთხარი, რომ ჩვენს შორის ყველაფერი მორჩა. ისიც ვუთხარი, რომ არ შემეძლო მისი დანაოჭებული სხეულის ფერება და ყოველდღე ამის ატანა. მითხრა, თავს მოვიკლავო, არ დავუჯერე და აგერ, შედეგიც – მართლა მოიკლა. მგონია, რომ ის ბიჭიც იმან გამოუშვა, შურისძიების მიზნით“, – განაცხადა გოგონამ.

სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს. გამორიცხული იყო, გარდაცვლილს ვინმეს გაგზავნა მოესწრო, რადგან ამ საუბრიდან მალევე, ის კაბინეტში ავიდა, სადაც ცოლი ელოდა, მერე კი გადმოხტა ანუ ის შეკვეთის მიცემას ვერ მოასწრებდა და რომც მოესწრო, შეკვეთის ამღები აუტკივარ თავს არ აიტკიებდა, თუ ფული აღებული ჰქონდა, შეირგებდა, თუ არა და, ვინ გადაუხდიდა? ამიტომ, ვერსია, რომ თავდამსხმელი გარდაცვლილის გაგზავნილი იყო, გამოირიცხა.

ამასობაში, რესტორნის ერთ-ერთი თანამშრომელი მივიდა გამომძიებლებთან და უთხრა, რომ ჩხუბის სცენა, შემთხვევით, ფანჯრიდან დაინახა, სანამ გარეთ გამოვიდა, მანამდე ყველაფერი დასრულებული იყო და... მან დაბეჯითებით თქვა, რომ თავამსხმელი იცნო და ის ინციდენტამდე ორი დღით ადრე... მზარეულს ესაუბრებოდა. რაღა თქმა უნდა, მზარეული დააკავეს.

„დიახ, ის კაცი მე მივაგზავნე, ჩემი ვალი აქვს, ფულს ვერ მიბრუნებდა და ვუთხარი, იმ გოგოს სახეს თუ დაუნგრევ, ვალს გამოგიქვითავ-თქო. რატომ? იმიტომ, რომ ათი წელია, რესტორნის მეპატრონეს ვხვდები, ათი წელია, გეგმებს ვაწყობ და უცებ, ეს გამოხტა საიდანღაც და ჩემს კაცს კურტუმო გაუქნია. ამას წინათ დავინახე, როგორ წამოარტყა უკანალზე და ამან გაპროტესტების ნაცვლად, გადაიკისკისა. ჰოდა, თავისი ადგილი მივუჩინე“, – თქვა მზარეულმა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. მან თავდამსხმელის ვინაობაც დაასახელა, ის წარსულში ორჯერ ნასამართლევი პირი აღმოჩნდა და რაღა თქმა უნდა, დააკავეს. დააკავეს მზარეულიც და საქმე შეიძლებოდა გახსნილად ჩათვლილიყო, როცა გამომძიებლებს კიდევ ერთი ქალბატონი ეახლა და...

„იმ კაცზე მთელი ამბები რომ არის ატეხილი, თითქოს გადმოვარდა. ჩემი თვალით დავინახე, როგორ იყო მიყრდნობილი ზურგით მოაჯირს, როგორ მივიდა ვიღაც ქალი მოსახვევად, როგორ მოიცილა კაცმა, როგორ ჰკრა იმ ქალმა ხელი და ბზრიალ-ბზრიალით გადმოაგდო. სახეზე ქალს ვერ ამოვიცნობ, მაგრამ ზუსტად მახსოვს, მწვანე შარფი ეკეთა“, – განაცხადა მან.

სამართალდამცავები ბიზნესმენის მდივანი ქალის დასაკითხად წავიდნენ. აინტერესებდათ, ვინ იყო იმ საბედისწერო დღეს მისული ბიზნესმენთან, მწვანე შარფით.

„მწვანე შარფი მის მეუღლეს უკეთია მუდმივად. საღღაც, მოგზაურობაში იყვნენ ერთად და ქმარმა ტირში მოიგო, იმის მერე არ იშორებდა, ჩემმა ქმარმა ჩემთვის მოინადირაო. ზოგადად, ქმარი ძალიან უყვარდა, ხშირად მოულოდნელად აკითხავდა, იჯდა, საათობით ელოდა, არ ეუბნებოდა, რომ აქ იყო ხოლმე“, – ნაღვლიანად თქვა მდივანმა. ძალოვნებმა ბიზნესმენის ქვრივს მიაკითხეს და როცა უთხრეს, რომ ჰყავდათ მოწმე, რომელიც ხელს დაადებდა და დაბეჯითებით იტყოდა, რომ ბიზნესმენი აივნიდან სწორედ მან გადმოაგდო, თავი ჩაღუნა და დაიწყო:

„მთელი ცხოვრება ჩემს ქმარს მივუძღვენი. ვიცოდი, რომ ხანდახან სადღაც გაძვრებოდა ხოლმე, მაგრამ ამასაც ვპატიობდი. იმ დღეს, აივანზე ვიდექი, როცა მოვიდა და იმ გოგოს ესაუბრებოდა. ყველაფერი გავიგონე და მივხვდი, რომ ჩემგან წასვლა უნდოდა... და როდის? როცა შვილიშვილებიც კი გვეყოლა? გული მეტკინა, ძალიან, ძალიან მეტკინა. მერე, როცა იმ გოგომ აუხსნა, რომ ბებერი იყო, რომ მასზე გული ერეოდა, ცოტა დავმშვიდდი. ამოვიდა ოთახში, არაფერი შევიმჩნიე, ჩაი მოვითხოვე, დავლიე. შვილიშვილზე ვისაუბრეთ, მალე ველოდებით და ის აივანზე იდგა, ეწეოდა, ეტყობოდა, რომ თითქმის არ მისმენდა, ფიქრებით იქ იყო, იმ გოგოსთან. ამიტომ, ვუთხარი, სანამ შვილიშვილი დაიბადება, ერთი კვირით სადმე ხომ არ დავისვენოთ-მეთქი და კბილებში გამოსცრა, დასვენება კი არა, სახლში მოსვლა აღარ მინდა, შენი ყურება აღარ შემიძლია, შემეშვი, თავი დამანებე, ცალკე გადავდივარო. ისეთი ტონით მითხრა, რომ მივხვდი, არ ხუმრობდა. მე ხომ მისი ყველა თვისება ვიცი და იმ ერთ წინადადებაში დავრწმუნდი, რომ ეს დასასრული იყო. ახლოს მივედი, თვალებში ჩავხედე და როცა სრული სიცარიელე დავინახე, ინსტიქტურად ხელი ვკარი. არ მეგონა, თუ გადვარდებოდა, მაგრამ... მოხდა ის, რაც მოხდა“, – დაასრულა მოყოლა ქალმა.

შსს-მ დავით კირთაძის წინააღმდეგ, ცესკო-ს მიმართვის საფუძველზე, გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის, დავით კირთაძის წინააღმდეგ გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით დაიწყო.

უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გამოძიება ცესკო-ს მიმართვის საფუძველზე დაიწყო.

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მომართვის საფუძველზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის შენობაში, მიმდინარე არჩევნების შემაჯამებელი სხდომის დროს, „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, დავით კირთაძემ, ამ დროისთვის დაუდგენელი თხევადი სითხე შეასხა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გიორგი კალანდარიშვილს.

ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება და გამოძიების მსვლელობისას ჩატარდება ყველა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საგამოძიებო სამსახურმა თაღლითობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურასთან კოორდინაციით გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვისი კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავებულ იქნა ერთი პირი. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, გამოძიებით დადგინდა, რომ სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით, ბრალდებულმა, სოციალურ ქსელ Facebook-ზე შექმნა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოში, თითქოსდა, დაგეგმილ სასწავლო პროგრამაში წამსვლელთა ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებულ 26 ფიზიკურ პირს ატყუებდა, რომ კონკრეტული თანხის გადახდის შემთხვევაში, ისინი ჩაერთვებოდნენ საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამაში და მათზე გაიცემოდა აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს ვიზები.

აღნიშნული გზით, 2023 წლის ივლისიდან 2024 წლის აგვისტომდე პერიოდში, ბრალდებული მოტყუებით დაეუფლა 26 ფიზიკური პირის კუთვნილ თანხას, ჯამში, 36 000 ლარის ოდენობით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9-წლამდე ვადით.

პროკურატურა: „დაილუქა საპარლამენტო არჩევნებში გამოყენებული ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები

საქართველოს გენერალური პროკურატურა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ვერიფიკაციის აპარატებთან დაკავშირებით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს.

როგორც პროკურატურა განმარტავს, სხვა საგამოძიებო მოქმედებებთან ერთად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში დაილუქა საპარლამენტო არჩევნებში გამოყენებული ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები, რათა უზრუნველყოფილიყო მათზე არსებული ინფორმაციის დაცულობა.

პროკურატურის ინფორმაციით, ვინაიდან გამოძიებით დგინდება, რომ ვერიფიკაციის აპარატები მუშაობს კომპლექსური კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, რაც ტექნოლოგიურად და პროგრამულად უზრუნველჰყო ამერიკაში ლიცენზირებულმა კომპანია – „სმარტმატიკმა“, ვერიფიკაციის აპარატებიდან ინფორმაციის გამოთხოვა და შემდგომი საექსპერტო კვლევები, აღნიშნული კომპანიის ჩართულობით განხორციელდება.

პროკურატურა მოუწოდებს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი ინფორმაციების გავრცელებისაგან.

„გვსურს გამოვეხმაუროთ ბოლო დროს ცალკეული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მხრიდან საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებს, რომელიც შეეხება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ვერიფიკაციის აპარატებთან დაკავშირებით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო გაყალბების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164³-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გამოძიების ფარგლებში, სხვა საგამოძიებო მოქმედებებთან ერთად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში დაილუქა საპარლამენტო არჩევნებში გამოყენებული ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები, რათა უზრუნველყოფილიყო მათზე არსებული ინფორმაციის დაცულობა, შემდგომში საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების მიზნით.

გამოძიების ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს, სასამართლოს განჩინების საფუძველზე გამოითხოვოს ვერიფიკაციის აპარატებში დაცული ინფორმაცია, რომელიც ასახავს საარჩევნო უბნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა მონაცემებს. ინფორმაციის გამოთხოვის შემდგომ კი დაგეგმილია კომპიუტერული/ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა დადგინდეს, ხომ არ ჰქონდა ადგილი ამომრჩევლის დუბლირებას, ასევე, ხომ არ ფიქსირდება საზღვარგარეთ მყოფი პირების ნაცვლად საქართველოში ხმის მიცემის შემთხვევები.

ვინაიდან გამოძიებით დგინდება, რომ ვერიფიკაციის აპარატები მუშაობს კომპლექსური კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, რაც ტექნოლოგიურად და პროგრამულად უზრუნველჰყო ამერიკაში ლიცენზირებულმა კომპანია – „სმარტმატიკმა“, ვერიფიკაციის აპარატებიდან ინფორმაციის გამოთხოვა და შემდგომი საექსპერტო კვლევები, აღნიშნული კომპანიის ჩართულობით განხორციელდება, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს არსებული ინფორმაციის შენახვა და დაცულობა.

აქვე, საზოგადოებას ვაცნობებთ, რომ ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება ყველა იმ პირის საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში დაკითხვა, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს რამე სახის ინფორმაციას არჩევნების სავარაუდო გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით, მათ შორის, გამოიკითხნენ ცესკო-ს თანამშრომლები. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საჯარო წყაროებში გავრცელებული, არჩევნებთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი, საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის მიზნით დაინიშნა სათანადო ექსპერტიზები, განხორციელდა დოკუმენტების და ინფორმაციის გამოთხოვა და სხვა.

ამდენად, საქმეზე ყველა საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედება მიმდინარეობს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით. პროკურატურა გამოძიების შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას პერიოდულად მოახდენს.

აქვე, გვსურს მოვუწოდოთ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი ინფორმაციების გავრცელებისაგან, რომელსაც არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი საფუძველი და მიზნად ისახავს მხოლოდ პროკურატურის და მიმდინარე გამოძიების დისკრედიტაციას“, – წერია ინფორმაციაში, რომელსაც პროკურატურა ავრცელებს.

ერთი მოგება და... ჩეხეთიდან, შესაძლოა, მუნდიალი დავინახოთ

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, ერთა ლიგაზე, ზედიზედ მესამე მატჩი ვერ მოიგო. ორი მარცხის შემდეგ, ვილი სანიოლის შეგირდები უკრაინას დაუზავდნენ. სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, იმას ვიკითხავთ, რაც გულშემატკივართა უმრავლესობას აინტერესებს – როგორც წესი, სასწაული უნდა მოხდეს, ნოემბრის შუაწელს, ბათუმში წვიმა რომ არ იყოს და რატომ გადაწყვიტა ფედერაციამ შეხვედრის აჭარაში ჩატარება, ვერ გეტყვით. მითუმეტეს, რომ უკრაინასთან საგარეო მარცხი სწორედ მინდვრის ცუდ საფარს დაბრალდა და იმის მიუხედავად, რომ ბათუმურ არენაზე მინდორს უვლიან, გადაუღებელი წვიმის ფონზე, მოედნის საფარი, რბილად რომ ვთქვათ, უკეთესის სურვილს ტოვებდა. ასე იყო თუ ისე, მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა და რომ არა გიორგი მამარდაშვილის საოცარი თამაში მატჩის ბოლო წამებზე, ეგებ, წაგვეგო კიდეც...

ახლა, 19 ნოემბერს ველოდებით. ამ დღეს, ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრას ვმართავთ და ყველაფერი ჩვენს ხელთაა – მოვუგებთ ჩეხებს გასვლაზე და ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე პლეი-ოფით მოხვედრის შანსი გვექნება და თან მომდევნო ერთა ლიგაზე, უკვე A ჯგუფში ვიქნებით.

თავის მხრივ, მოგება უნდა ჩეხეთსაც, რადგან თუ ალბანეთი მოახერხებს უკრაინის დამარცხებას და ჩეხეთი ფრეს გვეთამაშება, მაშინ, პირველ ადგილზე, სწორედ ალბანელები გავლენ. ასეა თუ ისე, აშკარად თვალსასეირო შეხვედრა გველის და ისიც ვთქვათ, რომ ბუკმეიკეერთა ფავორიტი ჩეხები არიან. ჰო, სტადიონმა, სადაც ჩეხეთი გვიმასპინძლებს, ადგილობრივი პირველობის ბოლო ორი მატჩი ვერ მიიღო, რადგან გადაუღებელი წვიმის გამო, მოედნის საფარზე ბურთის გორება შეუძლებელი გახლდათ. ეს კი, იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ როგორი ამინდიც არ უნდა იყოს 19 ნოემბერს, მოედანი მაინც მძიმე იქნება და ტექნიკური ფეხბურთის თამაში გაჭირდება, თუმცა ორივე ნაკრები ერთნაირ პირობებში იასპარეზებს და ამაზე წუწუნი არ ღირს.

ხორვატიას ერთი მოვუგეთ, მეორესთვის მზად ვართ

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა, ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფის მატჩში, ხორვატიას მინიმალური სხვაობით, 1:0 მოუგო. იმის მიუხედავად, რომ მეტოქე საკმაოდ ძლიერია, ჩვენს გუნდს მეტის გატანა მართებდა, რადგან ჯერ ერთი, საკუთარ მოედანზე ვთამაშობდით და მეორეც, 66-ე წუთიდან, ხორვატები 10 კაცით თამაშობდნენ, მათ ფეხბურთელი გაუძევეს.

არადა, ხორვატები იმდენად დარწმუნებულები იყვნენ მოგებაში, რომ ფეხბურთელის გაძევების მიუხედავად, მაინც მოგებას ფიქრობდნენ და შეტევები არ შეუნელებიათ. აკი თქვა კიდეც მათი ნაკრების თავკაცმა, არ მეგონა, თუ დავმარცხდებოდითო. წინ საპასუხო მატჩია, რომელიც ხორვატიაში შედგება და თუ არ წავაგებთ, საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს.

„ბარსელონა“ კვარაცხელიაში 80 მილიონს იხდის, პსჟ – უფრო მეტს

იტალიურ „ნაპოლისა“ და ხვიჩა კვარაცხელიას შორის კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე მოლაპარაკებები ჩიხშია შესული. ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ აურელიო დე ლაურენტისს, გადაწყვეტილი აქვს, ზაფხულის სატრანსფერო სეზონისდროს, ქართველი შემტევი გაყიდოს და აღარ აპირებს ზედმეტი ხარჯი გასწიოს, ხელფასი მოუმატოს და ზედ ბონუსებიც მიაყოლოს. ბევრის აზრით, სწორედ ეს გახლავთ ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ნეაპოლელთა პრეზიდენტი კონტრაქტის გაგრძელებაზე ფეხს ითრევს.

სამაგიეროდ, ხვიჩას მსურველები არ აკლია და უკვე დადასტურდა, რომ მის აგენტებს „ბარსელონას“ წარმომადგენლები შეხვდნენ. ესპანური მედია წერს, რომ კატალონიელები მზად არიან, კვარაცხელიას სანაცვლოდ 80 მილიონი ევრო გადაიხადონ, თავად ფეხბურთელს კი, წლიურ ხელფასად 8 მილიონი ევრო შესთავაზონ. ერთი შეხედვით, ეს წინადადება ქართველს უნდა აწყობდეს, თანაც „ბარსელონა“ ის კლუბია, რომელსაც გულშემატკივარი მსოფლიო მასშტაბით არ აკლია და რაც მთავარია, საქართველოშიც უაამრავი ქომაგი ჰყავს, მაგრამ...

„დე ლაურენტისმა კარგად იცის, რომ კვარაცხელიას დამატება პსჟ-საც სურს და ფრანგული კლუბის არაბი მფლობელები, ყველაზე ცოტა, 100 მილიონ ევროს გადაიხდიან. ამ თანხის გადახდას კი „ბარსა“ ვერ მოახერხებს და ამიტომ, „ნაპოლის“ პრეზიდენტი, სწორედ პარიზელთა წინაადადებას ელოდება“, – ასე ფიქრობენ და ამბობენ იტალიელი ექსპერტები და ეს მოსაზრება სიმართლესთან ძალიან ახლოს უნდა იყოს.

მიქაუტაძის „ლიონი“ შესაძლოა მოკვეთონ

გიორგი მიქაუტაძის „ლიონი“ საფრანგეთის ჩემპიონობისთვის ალბათ ვერ, მაგრამ ევროთასების საგზურისთვის აუცილებლად იბრძოლებს და იმასაც შეეცდება, ჩემპიონთა ლიგას დაუბრუნდეს, თუმცა... ძალიან, ძალიან დიდია იმის შანსი, რომ ლიონელებმა ევროთასებზე საგზურის მოპოვების შემთხვევაშიც ვერ ითამაშონ. საქმე ის გახლავთ, რომ კლუბს 505 მილიონი ევროს ვალი აქვს და თუ 2025 წლის ზაფხულის ბოლომდე ამ თანხას ვერ დაფარავს, ქვედა ლიგაში დაქვეითება მოუწევს.

„საქმე ძალიან სერიოზულად არის. იმდენად სერიოზულად, რომ კლუბს უკვე აკრძალული აქვს ახალი ფეხბურელების დამატება და ფონს სწორედ იმ მოთამაშეებით უნდა გავიდეს, რომელიც საჩემპიონატო განაცხადში ჰყავს. თანხების მობილიზებას კლუბი ვერანაირად ვერ მოახერხებს და ერთადერთი გამოსავალი ფეხბურთელების გაყიდვაა. 505 მილიონი ძნელი შესაგროვებელი იქნება და ამიტომ, გუნდი ისეთ მოთამაშეებს უნდა გამოეთხოვოს, როგორებიც, მაგალითად, ლაკაზეტი და მიქაუტაძე არიან“, – წერს ფრანგული მედია.

ქართველების ტრიუმფი პოლონეთში

გასულ კვირას, პოლონეთში, 23-წლამდელ ძიუდოისტთა შორის, ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა. კარგია, რომ ეროვნულ ნაკრებს ღირსეული თაობა მოსდევს, რადგან ტურნირი ქართველი ახალგაზრდების სრული ტრიუმფით დასრულდა

დავიწყოთ იმით, რომ ინდივიდუალურ ჩათვლაში, ქართველებმა ოქროს სამი მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები კოტე კაპანაძე, ირაკლი დემეტრაშვილი და გიორგი ტერაშვილი გახდნენ, ვერცხლის მედალს ნინო ლოლაძე დაეუფლა,ხოლო ბრინჯაოს – თენგო ზირაქაშვილი.

ამის შემდეგ, ჩემპიონატის ბოლო დღეს, გუნდური შეჯიბრი ჩატარდა. საქართველომ პირველ წრეში დაისვენა, მეოთხედფინალში კი რუმინეთს შეხვდა. ყველას ეგონა, რომ ქართველები ამ ბარიერს ვერ გადალახავდნენ, რადგან მეტოქე 3:0 დაწინაურდა და სანუკვარ მიზნამდე ერთი მოგება აშორებდა, თუმცა ქართველებმაზედიზედ 4 შეხვედრა მოიგეს და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც გერმანიის ნაკრებს უბრალოდ გადაუარეს – 4:1. ფინალი ისევ დრამატული გამოდგა. ბედის ირონიით, პოლონეთშიც მეტოქედ უკრაინა გვყავდა (უკრაინასთან ვითამაშეთ ფეხბურთში და უკრაინას ვაჯობეთ საბავშვო ევროვიზიაზე). ორთაბრძოლები ძალიან დაძაბულად წარიმართა და საბოლოო ჯამში, ქართველებმა 4:3 და ოქროს მედლები მოიგეს.

საუკეთესოდ საუკეთესოები დაასახელეს!

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში წლის შემაჯამებელი, საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გამართა. წესით, მთავარი თემა ოლიმპიური კომიტეტის ახალი პრეზიდენტის არჩევა უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგან კანდიდატურა მხოლოდ მოქმედმა პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა დააყენა, ასარჩევი არც არაფერი იყო – დელეგატებმა მას მხარი ერთხმად დაუჭირეს.

შესაბამისად, უფრო საინტერესო წლის საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონია გამოდგა. მოგეხსენებათ, ეს წელი ოლიმპიური იყო და არჩევანიც არ იყო იოლი. საბოლოო ჯამში, კომიტეტმა უპრეცედენტო გადაწყვეტილეება მიიღო და წლის საუკეთესო სპორტსმენად ერთბაშად სამი ოლიმპიური ჩემპიონი დაასახელა. ჯილდო გენო პეტრიაშვილს, ლაშა ტალახაძესა და ლაშა ბექაურს ერგოთ.

შოუ არ შედგა, ტაისონი დამარცხდა

58 წლის მაიკ ტაისონის რინგზე ხილვას, გულშემატკივართა არმია ელოდა. ლეგენდარულმა მოკრივემ ორთაბრძოლისთვის, სადაც მისი მეტოქე 27 წლის „იუთუბერი“, ჯეიკ პოლი იყო, მზადება რამდენიმე თვით ადრე დაიწყო, ზემდეტი კილოგრამებიც დაიკლო და აშკარა გახლდათ, რომ საქმეს სერიოზულად მიუდგა. ორთაბრძლის ტრანსლაციას ბევრი ელოდა, დიდი ფულიც გადაიხადეს, მაგრამ ვაღიაროთ, რომ ეს არ იყო ის, რასაც გულშემატკივარი ითხოვდა.

შეხვედრა 8 რაუნდს გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში, მეტოქეები რინგზე უბრალოდ დადიოდნენ და ერთმანეთს პრაქტიკულად არ ეხებოდნენ, ბოლო ათი წამი კი საერთოდ გაჩერდნენ და ერთმანეთს მხოლოდ თავს უკრავდნენ, ვითომ პატივისცემის ნიშნად. მოკლედ რომ ვთქვათ, შეხვედრამ მოლოდინი არ გაამართლა და ექსპერტებმაც უკვე თქვეს, რომ თუ სამომავლოდ ტაისონი ისევ გადაწყვეტს რინგზე გასვლას და საჩვენებელი შეხვედრის გამართვას, ტელევიზიები იმის მეათედსაც კი ვერ გაყიდიან, რაც ახლა მოახერხეს. ჰო, ეს ორთაბრძოლა კი პოლის გამარჯვებით დასრულდა, მას, თურმე, მაიკისთვის ქულებით მოუგია, მსაჯებმა ასე გადაწყვიტეს.

„ფორმულა“ და „მთავარი“ ერთიანდებიან?!

მე-4 გვერდიდან

პარლამენტარ კობა ნაყოფიას მიერ, უცხოეთიდან შემოტანილი 8 მილიონზე მეტი თანხის წარმომავლობის დამადასტურებელ დოკუმენტად, საზღვრის კვეთისას შევსებული დეკლარაციის ნაცვლად, ნაყოფიას პასპორტში ჩარტყმული საზღვრის კვეთის ბეჭდები წარმოადგინე.

„მთავარი არხის“ სალაროში შემოტანილი თანხების წარმომავლობის დამადასტურებელი საბუთების ჩემ მიერ მოთხოვნისას, თავის გატეხვით დამემუქრე.

ჩემსა და „ომეგა ჯგუფთან“ კომუნიკაციას, ეტყობა, მას შემდეგ ვეღარ იხსენებ, რაც „მთავარ არხზე“ მიმდინარე თანხების უკანონო ბრუნვას არცერთი სახელმწიფო ინსტიტუტი, არც საგადასახადო და საბაჟო სამსახურები, არც თიბისი და ეროვნული ბანკი ამჩნევენ, რადგან, როგორც „მთავარი არხის“ მეორე დირექტორი გიორგი გაბუნია მიცხადებს, „მთავარი არხი“ ზემოდან მფარველობის ქვეშაა და ტყუილად ცდებიო.

დასანანია, ნაცვლად იმისა, რომ მონაწილეობა მიგეღო დემოკრატიული, სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობაში, ჩვენი მოცემული პლატფორმა გამოიყენე ჩვენი და „მთავარი არხის“ დაზიანებისთვის და პირადი და პოლიტიკური სარგებლის მიღების მიზნით, მოიპოვე ივანიშვილისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მფარველობა.

ნიკა, ევროპელობას რომ იჩემებ, ევროპული ღირებულებები არ არის პარტნიორის ღალატი, სიცრუე და ფინანსური მაქინაციები. ასეთი ქმედებები არ არის გზა გამარჯვებისაკენ“.

მოგეხსნებათ, „მთავარმა“, თავის დროზე, მაუწყებლობა ტელეკომპანია „იბერიას“ ბაზაზე დაიწყო ანუ „იბერიას“ მფლობელმა ზაზა ოქუაშვილმა, გვარამიას მხოლოდ ტელევიზიის კი არა, არამედ, „ომეგა ჯგუფის“ საკუთრებაში არსებული სხვა ქონებაც გადასცა, რომელსაც ტელევიზია პავილიონებად იყენებდა.

მერე, ისე მოხდა, რომ „მთავარის“ წილების უმეტესობის მფლობელი ოქუაშვილი გახდა.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, ზაზა ოქუაშვილის მეუღლე, ყოფილი დეპუტატი ნატო ჩხეიძე, გვარამიას წინააღმდეგ სწორედ ტელევიზიის საკითხზე სარჩელს ამზადებს, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ადვოკატები ამ საქმეს ხელს არ კიდებენ და ამბობენ, გვარამიასთან ომის თავი არ გვაქვსო.

ერთი სიტყვით, ე.წ. ოპოზიციურ ტელემედიებს, როგორც ჩანს, მძიმე დღეები ელით, თუმცა წინასწარი დასკვნების გაკეთებისგან მაინც, სჯობს, თვი შევიკავოთ და ეს საგაზეთო სტატია ერთი საყურადღებო ინფორმაციით დავასრულოთ, რომელიც რამდენიმე დღის წინ გავრცელდა და რომელიც დავით კეზერაშვილს ეხებოდა.

„ფორმულას” დამფუძნებელ დავით კეზერაშვილს, რუსეთში, დაუსწრებლად პატიმრობა მიუსაჯეს. რუსული პროპაგანდისტული მედიის ინფორმაციით, რუსმა სამართალდამცავებმა საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრ დავით კეზერაშვილზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადეს. ამასთან, მოსკოვის სასამართლომ ის „დაუსწრებლად დააპატიმრა“. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი კეზერაშვილს თაღლითობას ედავება.

„დავით შოთას ძე კეზერაშვილი შეყვანილია რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძებნილთა სიაში, მასზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით.

კეზერაშვილის წარმომადგენლებმა ეს გადაწყვეტილება არ გაასაჩივრეს და ის კანონიერ ძალაში შევიდა. ბრალდებულის მიმართ შსს-ს ძებნის ბარათში მითითებულია, რომ ის სისხლის სამართლის ორ საქმეზეა ბრალდებული და მასზე ძებნა ხელახლა გამოცხადდა“, – ნათქვამია რუსული მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

2016 წელს, რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელმა, ალექსანდრ ბასტირკინმა დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდს ეხება. კერძოდ, თავდაცვის მაშინდელ მინისტრს კრემლი სამხედრო დანაშაულს ედავება“, *– ეს ინფორმაცია, რამდენიმე დღის წინ, ქართულმა მედიამ გაავრცელა.*

უნივერსიტეტში ბიონსეს კურსს ასწავლიან

იელის უნივერსიტეტში, 2025 წელს აამოქმედებენ კურსს, რომელიც ბიონსეს და მის ცხოვრებას მიეძღვნება. სტუდენტები შეისწავლიან, როგორი გავლენა მოახდინა მომღერალმა თანამედროვე კულტურასა და პოლიტიკაზე. კურსის სახელწოდებაა – „ბიონსე ქმნის ისტორიას: შავი ტრადიციის ისტორია, კულტურა, თეორია და პოლიტიკა მუსიკის გავლით“. კურსს წაიყვანს აფროამერიკული კვლევებისა და მუსიკის პროფესორი, დაფნა ბრუქსი. კურსის საკვანძო ელემენტი იქნება შავკანიან არტისტთა მიღწევების დემონსტრაცია. ბრუქსის თქმით, მეცადინეობებზე აჩვენებენ, როგორ ეხმიანება ბიონსეს მუსიკას ტრადიციული ამერიკული კულტურა.

ქალებს ცალკე ვაგონები ევროპაშიც ექნებათ

გერმანიის დედაქალაქში, შესაძლოა, მეტროში ქალებისთვის ცალკე ვაგონები გამოიყოს. მიზეზი ის არის, რომ ბერლინის მიწისქვეშა ტრანსპორტში მანდილოსნები სულ უფრო ხშირად ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი. ინფორმაციას გამოცემა Bild-ი ავრცელებს. დედაქალაქის მთავრობაში ეს იდეა წამოაყენეს და მოდელად იაპონური გამოცდილების გაზიარებას ითხოვენ. ბოლო შემთხვევა რამდენიმე თვის წინ მოხდა, როცა ბერლინის მეტროს ერთ-ერთ ხაზზე, მატარებელშიმ ღამით, 33 წლის მამაკაცმა 63 წლის ქალი გააუპატიურა, შემდეგ ვაგონიდან მშვიდად გამოვიდა და გზა ავტობუსით განაგრძო. გერმანული პროექტის მიხედვით, მეტროში ავარიული დინამიკებითა და პლატფორმებზე ვიდეო-თვალთვალით სპეციალურად გამოყოფილი ზონები შეიქმნება. ასევე, ცალკეული ვაგონებით, პიკის საათების გარდა, დანარჩენ დროს მხოლოდ ქალები იმგზავრებენ. ეს ვაგონები, ტოკიოს მეტროს მსგავსად, მძღოლის სალონის უკან, ან მატარებლის ბოლოში განთავსდება, სადაც ასევე მეორე მძღოლის სალონია. ამჟამად ყველა საზოგადოებრივი ტრანსპორტი განგაშის სპეციალური ღილაკით არის აღჭურვილი, რომელიც მგზავრს მძღოლთან აკავშირებს.

საკვებად ვარგისი ნიღბები შექმნეს

კორონავირუსის პანდემიის ფონზე, პირბადე ჭეშმარიტი აქსესუარი გახდა, თუმცა ის უპირველესად, საშიში დაავადებისგან თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. დღესდღეობით, მსოფლიოში უკვე არსებობს ნიღბები ბრილიანტებით, ოქროთი და სხვა ძვირფასი მეტალებითა და ქვებით. თუმცა, ამჯერად, ამომავალი მზის ქვეყანამ შემოგვთავაზა ახალი და მყიდველების ფართო წრისთვის ხელმისაწვდომი პირბადე – მათ პირველი, საკვებად ვარგისი ნიღაბი დაამზადეს. მისი ავტორები ამტკიცებენ, რომ ამ გამოგონებას ვირუსებისგან დაცვაც შეუძლია. ეს ექსპერიმენტული პირბადე ნესვის ფუნთუშისგან – ტრადიციული იაპონური ტკბილი ნამცხვრისგან დაამზადეს. კვლევებისას სწავლულები დარწმუნდნენ, რომ პურს, მკვრივი ბოჭკოების წყალობით, შეუძლია არასამედიცინო პირბადეზე არანაკლებ დაიცვას ადამიანი. ხუთი ფუნთუშა-ნიღბისგან შემდგარი კომპლექტი 16 დოლარი ღირს და ბაზარზე ის უმალ საღდება.

ირანში ურჩი ქალების „მკურნალობას“ აპირებენ

თეირანში „ფსიქოლოგიურ კლინიკას“ გახსნიან იმ ქალებისთვის, რომელთაც არ სურთ ჰიჯაბის ტარება, მიუხედავად კანონისა, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მათგან თავის დაფარვას ითხოვს. აქ ძალისხმევას არ დაიშურებენ ამ საკითხში მათი ცნობიერების ამაღლებაზე, ასევე, ჰიჯაბის მოხსნის სურვილის მეცნიერულ და ფსიქოლოგიურ მკურნალობაზე. ირანელი ჩინოვნიკები აცხადებენ, რომ ქალები და მოზარდი გოგონები, რომლებიც ამ რელიგიურ მოთხოვნას არ ემორჩილებიან, დაწესებულებაში „ნებაყოფლობით“ იქნებიან, მკურნალობა კი ხელს შეუწყობს „ღირსებასა და მოკრძალებას“. აქამდე ურჩ ირანელ ქალებს იძულებით აგზავნიდნენ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სამკურნალოდ.

იაფ საქონელს Amazon-იც გაყიდის

Amazon-მა თავის აპლიკაციაში ახალი განყოფილება – Amazon Haul აამოქმედა, რომელიც 20 დოლარის, ან ნაკლები ფასის მქონე პროდუქტებზე არის ორიენტირებული. როგორც ამერიკული მედია წერს, ამ ნაბიჯით ელექტრონული კომერციის ლიდერი ცდილობს, გაუმკლავდეს კონკურენციას იაფ ჩინურ პლატფორმებთან – Temu-სა და Shein-თან. ამ განყოფილებაში ყველა პროდუქტის ფასი 20 დოლარამდეა, უმერავლესობა კი 10 დოლარამდე ღირს. ამ პლატფორმაზე შეკვეთილი საქონლის მიწოდებას ერთიდან ორ კვირამდე სჭირდება. Amazon-ის გადაწყვეტილება, რომ მომხმარებელს პროდუქტი უფრო დაბალ ფასებში და ნელი მიწოდებით შესთავაზოს, პირდაპირი პასუხია Temu-ს მზარდ კონკურენციაზე.

77 წლის ტორტის ნაჭერი აუქციონზე გაიყიდა

ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედისა და პრინც ფილიპის საქორწინო ტორტის ნაჭერი, 77 წლის შემდეგ, აუქციონზე 2800 დოლარად გაიყიდა. ტკბილეულმა, რომელიც არც ისე კარგად გამოიყურება, თითქმის რვა ათეულ წელს გაუძლო. ის 1947 წლის 20 ნოემბრისთვის დაამზადეს. ტორტის ნაჭერი დღემდე იმ პატარა ყუთშია შენახული, რომლითაც ის ბუკინგემის სასახლიდან მარიონ პოლსონს – ედინბურგის სასახლის დიასახლისს გაუგზავნეს.

იდუმალებიც მოცული ყელსაბამი აუქციონზე გაიყიდა

XVIII საუკუნის ბრილიანტის ყელსაბამი, რომლის ისტორიაც იდულამებით არის მოცული, Sotheby's-ს აუქციონზე, თითქმის 5 მილიონ დოლარად გაიყიდა. ყელსაბამი წყვილი ფუნჯის სახით არის შექმნილი, რომელიც 500 ცალი ძველი ბრილიანტებით არის შემკული. ვარაუდობენ, რომ ეს ძვირფასი „ფუნჯები" საფრანგეთის დედოფლის, მარია-ანტუანეტას სამკაულის ნაწილი იყო. 1979 წელს, ყელსაბამი აშშ-ის ბუნების ისტორიის მუზეუმში იყო წარდგენილი. მაშინ ამტკიცებდნენ, რომ ყელსაბამი 1776 წელს შეიქმნა და რომ გეორგ III-მ, ის მალბოროს ჰერცოგინიას აჩუქა. სამკაულის ახალი მფლობელის ვინაობა უცნობია, თუმცა აუქციონის სახლის წარმომადგენლის განცხადებით, ის აღფრთოვანებულია შენაძენით. „ბედნიერი მყიდველი წავიდა ისტორიის შთამბეჭდავი ნაწილით", – განაცხადა ევროპის ყველაზე მსხვილი ბრილიანტების ინტერნეტ-მაღაზიის მფლობელმა, ტობიას კორმინდმა.

ექსკურსია სასაფლაოზე მოუწყვეს

ჩინეთის ქალაქ ჩუნცინში მდებარე ტურისტული ფირმა შეეცადა, პენსიონერებისთვის სასაფლაოზე ადგილები მიეყიდა. ადგილობრივი სააგენტო „ლუნიაო" დაუკავშირდა პენსიონერებს და 18 იუანად (2.78 დოლარი) ლამაზი ადგილების დათვალიერება შესთავაზა. ტურის ღირებულებაში შედიოდა სადილიც და ათობით ხანდაზმული ჩინელი ჩაეწერა ამ ექსკურსიაზე. თუმცა, დაპირებულმა ტურმა ცოტა არ იყოს, გააოცა გულუბრყვილო მოხუცები – ლამაზი პეიზაჟების ნაცვლად, ისინი სასაფლაოზე მიიყვანეს და უკანასკნელი განსასვენებლის ყიდვა შესთავაზეს. აღშფოთებულმა პენსიონერებმა ქალაქის ტურიზმისა და კულტურის სამართველოში იჩივლეს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაარკვია, რომ „ლუნიაოს" არ ჰქონდა ტურისტული ჯგუფების გაყვანის ლიცენზია. დაზარალებულ მოხუცებს აღუთქვეს, რომ აღკვეთდნენ ფირმის საქმიანობას, რომელიც არღვევს ტურისტების უფლებებს და აზიანებს ჩუნცინის იმიჯსაც.

ბარი მიზანთროპებისთვის

ტაივანის დედაქალაქ ტაიბეიში, უკვე ერთი წელია მუშაობს დაწესებულება მათთვის, რომლებსაც სხვა ადამიანებისგან დასვენება სურთ. ბარი, სახელწოდებით – „მიზანთროპების საზოგადოება“ ყველას, ვისაც არ უყვარს ადამიანები, სთავაზობს კრეატიულ კოქტეილებს, წიგნებსა და შავ იუმორს. მთავარი კი აქ სიწყნარეა, ხმაურიანი საზოგადოებისგან შორს. მიუხედავად იმისა, რომ ბარი ქალაქის ცენტრში მდებარეობს, მისმა 28 წლის მფლობელმა მაინც გამონახა ადგილი, რომელიც იდეალურად ერგება დაწესებულების შინაარსს – ის ბნელ ჩიხში მდებარეობს, სადაც მზის სხივებიც ვერ აღწევს. ბარის ინტერიერში შავი იუმორი და მოქუფრული დეკორი სჭარბობს: შავი კედლები, შავი მენიუ, შავი თეფშები. შემწვარი ქათამიც კი შავი ფერისაა, რომელიც სოიოს ტრადიციულ ხაჭოშია დამარინადებული. „მიზანთროპების საზოგადოება“ საკმაოდ პოპულარულია და კლიენტების ნაკლებობას არ უჩივის.

კვერცხი კარგი მხედველობის საწინდარია



ყოველკვირა კვერცხის მირთმევა აღკვეთს ასაკობრივ მაკულოდისტროფიას – პათოლოგიას, რომლის გამოც 50 წელს გადაცილებული ადამიანები მხედველობას კარგავენ. ასეთი დასკვნები ავსტრალიელმა სწავლულებმა გააკეთეს. სპეციალისტებმა ექსპერიმენტი 3 654 ადამიანზე ჩაატარეს და მათ 15 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. შედეგად აღმოჩნდა, რომ იმ მოხალისეებს, რომლებიც ყოველკვირეულად, 2-4 კვერცხს მიირთმევდნენ, 49%-ით ნაკლებად ჰქონდათ მაკულოდისტროფიის პრობლემა, ვიდრე მათ, რომლებიც კვირაში ერთ კვერცხს მიირთმევდნენ. ექსპერტების თქმით, კვერცხის მოხმარებასა და მხედველობას შორის არსებობს კავშირი, მაგრამ როგორი, ეს ჯერ არ დაუზუსტებიათ.

ტომ ჰენქსი ქვეყნიდან წავიდა

პოპულარულმა ჰოლივუდელმა ვარსკვლავმა ტომ ჰენქსმა, საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვების გამო, ამერიკა დატოვა. გამოცემა The Direct-ის ცნობით, ამის შესახებ „ფორესტ გამპის“ ვარსკვლავმა გამოსათხოვარ წერილში დაწერა. „დამძიმებული გულით და კიდევ უფრო მძიმე ჩემოდნით ხელში, ვაცხადებ: ოფიციალურად დავტოვე ქვეყანა. დიახ, არ მოგესმათ – ახლა ამ წერილს შორეული, უცნობი ადგილიდან გწერთ, საიდანაც მშვენიერი ხედი იშლება... არა ამერიკაზე“, – წერს ჰენქსი. მისი თქმით, თეთრ სახლში ტრამპის დაბრუნება ნამდვილად არ იყო ის, რისთვისაც ემზადებოდა. „როცა არჩევნების შედეგები ვნახე, გავიფიქრე: გაიქეცი, ფორესტ, გაიქეცი. და სწორედ ეს გავაკეთე“, – აცხადებს მსახიობი. ჰენქსი არ გამორიცხავს აშშ-ში დაბრუნებას, თუმცა ეს მალე არ მოხდებაო. მის გარდა, ქვეყნიდან წასვლას კიდევ სხვა ცნობილი სახეებიც აპირებენ, რომლებიც არჩევნებში დემოკრატების კანდიდატის გამარჯვებას გულშემატკივრობდნენ. ამერიკის დატოვებას აპირებენ ასევე მომღერალი, შერი, შერონ სტოუნი და სხვები.

ყველაზე დიდი მარჯანი აღმოაჩინეს

National Geographic Pristine Seas-ის მეცნიერებმა, მსოფლიოში ყველაზე დიდი მარჯანი აღმოაჩინეს. ის იმდენად დიდი ზომისაა, რომ მისი დანახვა კოსმოსიდანაც შესაძლებელია. მარჯანის სიგრძე 30 მეტრზე მეტია, სიმაღლე 5.5 მეტრს შეადგენს, ასაკით კი 300 წელზე მეტი ხნისაა. სწავლულებმა ის ექსპედიციის დროს, წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სოლომონის კუნძულებზე აღმოაჩინეს. მათი თქმით, ის მილიარდზე მეტი პატარა პოლიპისგან შედგება. ის Pavona clavus-ის სახეობას მიეკუთვნება და კრევეტების, კიბოების, თევზებისა და ზღვის სხვა არსებების საცხოვრებელია. ზევიდან მარჯანი მოჩანს, როგორც უზარმაზარი ყავისფერი ქვა. თავიდან ექსპედიციის წევრებს ის ჩაძირული გემი ეგონათ.

კორეელები ცხოვრების მთავარ გამოცდას აბარებენ

სამხრეთ კორეაში სკოლების კურსდამთავრებულები გამოცდას აბარებენ, რომელსაც სუნინი ჰქვია. ის ხუთ ტესტს მოიცავს და რვა საათის განმავლობაში გრძელდება. სუნინი თავის წარმოჩენის ერთადერთი შანსია, მის ჩასაბარებლად კი მხოლოდ ერთი ცდა ეძლევათ. ეს, უბრალოდ, მხოლოდ მათი ცოდნისა და შესაძლებლობების შემოწმება არ არის უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების წინ. სუნინის შედეგებზეა დამოკიდებული, რომელ უნივერსიტეტში ჩააბარებს ახალგაზრდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოცდა ახალგაზრდა კორეელების ბედს განსაზღვრავს – მათ მომავალ სამსახურს, შემოსავალს და პირად ურთიერთობებსაც კი. ეს ერთგვარი რიტუალია, რომლის დროსაც მთელი ქვეყანა გაირინდება ხოლმე. სუნინი რვა საათს გრძელდება, საგნებს შორის მხოლოდ 20-წუთიანი შესვენებებია, 50 წუთი აქვთ სადილისთვის. ყოველ საგანზე ტესტი 80-დან 107 წუთამდე გრძელდება. გამოცდაზე ხუთი აუცილებელი საგანი ბარდება: კორეული ენა, მათემატიკა, ინგლისური, კორეის ისტორია და საზოგადოებათმცოდნეობა, ან ბუნებისმეტყველება. შემდეგ მოდის არასავალდებულო გამოცდები ფრანგულში, ჩინურში, იაპონურში, რუსულში, ან არაბულ ენაში. ინგლისურ ენაში აუდიო-ტესტების დროს, 35 წუთით, ქვეყანაში საჰაერო მიმოსვლაც კი ჩერდება. ამ დღით, გზების განტვირთვის მიზნით, ბევრი კომპანია თანამშრომლებს სამსახურში გვიან მისვლას სთავაზობს, ბირჟაც კი დაგვიანებით იხსნება.

ყველაზე უბედური ასაკი გამოავლინეს

ამერიკელმა ექსპერტებმა გამოთვალეს, რა ასაკში გრძნობენ ადამიანები თავს ყველაზე უბედურად. საშუალოდ, ასეთი პერიოდი, დაახლოებით, 45 წლის ასაკში დგება და განპირობებულია ჰორმონებითა და სხეულის ბიოქიმიით და არა – „ცხოვრებისეული რთული სიტუაციებით“. მაქსიმალური ბედნიერების ასაკი 18-20 წელია, მერე კი იწყება დაღმასვლა. კვლევების თანახმად, ჩინეთში, მექსიკასა და რუსეთში ადამიანი თავს ყველაზე უფრო უბედურად მაშინ გრძნობს, როცა 43 წელს გადააბიჯებს, განვითარებულ ქვეყნებში – 47 წლის შემდეგ, განვითარებადში კი – 48 წლის შემდეგ. როცა ადამიანი 60 წელს მიაღწევს, სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება და შემდეგ, 70 წლის ასაკში, როგორც ახალგაზრდობაში, თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს. ამ დასკვნების გასაკეთებლად, ამერიკელმა სწავლულებმა მსოფლიოს 132 ქვეყნის მონაცემები შეისწავლეს.

პოლიტიკა საქმეს აფუჭებს

გერმანიაში, პატარა ეკო-სასტუმროს მფლობელმა, ფიუსენ ანდრეას ეგენსბერგერმა საკუთარი ტერიტორიიდან Tesla-ს სამი დასამუხტი სადგური აიღო. სოციალურ ქსელში გავრცელებულ პოსტში, მან საკუთარი საქციელი ილონ მასკის ბოლო ქმედებებით ახსნა. სასტუმროს მფლობელის განცხადებით, ის უსიამოვნოდ გაოცებული დარჩა იმით, რომ მილიარდერი აშშ-ის არჩეულ პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს უჭერს მხარს. ანდრეასის თქმით, ის ყოველთვის პატივს სცემდა მასკს, მისი ტექნოლოგიური ინოვაციებისა და უკეთესი მომავლისკენ მისწრაფებების გამო, მაგრამ ახლა ბიზნესმენის ქმედებებით მეტად იმედგაცრუებულია. შედეგად, მან არა მხოლოდ აიღო დასამუხტი სადგურები, არამედ გაყიდა კიდეც სასტუმროს საკუთრებაში მყოფი Tesla Model S, რომელსაც ტრანსფერებისთვის იყენებდა.

მოწევის გამო თავზე გალია დაიდგა

თურქმა მამაკაცმა, სიგარეტისთვის თავის დანებებისთვის უჩვეულო მეთოდი მოიგონა. მან თავზე სპეციალური გალია დაიდგა. 52 წლის იბრაჰიმ იუსელი სტაჟიანი მწეველია – ის 16 წლიდან მოიხმარს თამბაქოს და დღეში, მინიმუმ, 2 კოლოფი სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ მან ბევრჯერ დაანება სიგარეტს თავი, მოწევას ისევ უბრუნდებოდა. ამჯერად, მავნე ჩვევის დასაძლევად უცნაური მეთოდი მოიფიქრა, ინსპირაციის წყარო კი ერთ-ერთი წარმატებული სარეკლამო კამპანია გახდა, სადაც უსაფრთხოების მიზნით, მოტოციკლეტის მძღოლები ჩაფხუტს ატარებენ. იბრაჰიმმა თავზე გასაკეთებლად, სპილენძის მავთულით, თავად, სწორედ ჩაფხუტის მსგავსი გალია შექმნა, რომელიც სიგარეტის მოწევაში უშლის ხელს. ერთადერთი გასაღები კი ცოლს ჩააბარა. ის გალიას მხოლოდ საკვების მისაღებად უღებს. გაამართლებს თუ არა ეს მეთოდი, ალბათ, დრო გვიჩვენებს.

სიმსუქნისგან კიდევ ერთი „მხსნელი“ აღმოაჩინეს

წითელი ყურძნისა და ფორთოხლის ერთად მიღება, პროფესიონალების მტკიცებით, ადამიანს ჭარბი წონისგან გაათავისუფლებს. ახალი წამლის შექმნის საკუთარ იდეას მედიკოსები ღია ნივთიერებების საფუძველზე ახორციელებენ, რაც საბოლოოდ შესაძლებლობას მოგვცემს, დიაბეტსა და სიმსუქნეს თავი დავაღწიოთ. უორვიკის უნივერსიტეტის სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ამ ორ შემადგენლობაში არსებული ნაერთების კომპოზიცია ხელს უწყობს დიაბეტის, გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარებისა და ზედმეტი კილოგრამების აკიდების რისკის შემცირებას. ასეთ ეფექტს იძლევა ტრანს-რესვერატროლი და ჰესპერტინი, რომელსაც ყურძენი და ფორთოხალი შეიცავს – ერთად მოქმედებით, ისინი ცილა Glo-ის გამომუშავებას უწყობენ ხელს, რომელიც შაქრის მავნე ზემოქმედებას ანეიტრალებს.

პომიდორი ჯანმრთელობას ვნებს?

ამერიკელი კარდიოლოგი სტივენ ჰანდრი, საკუთარ წიგნში – „მცენარეთა პარადოქსი“ აცხადებს, რომ პომიდორმა, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ჩვენს ჯანმრთელობას, მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი რაოდენობით ვიტამინებსა და მინერალებს შეიცავს. სპეციალისტის თქმით, ეს ბაღჩეული კულტურა შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას. ლაპარაკია ლექტინებზე – ცილების სახესხვაობაზე, რომელსაც მცენარე მავნებლებისგან თავის დასაცავად გამოიმუშავებს. კარდიოლოგის თქმით, როცა ის ორგანიზმში ხვდება, ანთებით პროცესებსა და სხვადასხვა დაავადებების განვითარებას იწვევს. ჰანდრი აცხადებს, რომ ცილის ეს სახესხვაობა არა მხოლოდ მავნე ბაქტერიებს, არამედ, ჯანმრთელ უჯრედებსაც ანადგურებს. სწორედ პომიდორს შეუძლია გამოიწვიოს ადამიანში ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, თმის ცვენა, კანზე გამონაყარი და გარდა ამისა, შესაძლოა, ნაგატიური გავლენა მოახდინოს ტვინის მუშაობაზე.

შედევრების ასლები ცელოფნებისგან

ბრაზილიელი მხატვარი, ედუარდო სრური მთელ მსოფლიოში ცნობილია თავისი პროექტებით, რომელიც გარემოს დაცვას ეხება. ბოლო დროს მან კიდევ ერთი ასეთი პროექტი განახორციელა – ცნობილი ოსტატების შედევრები შექმნა ცელოფნის პარკებისგან, რომლებიც მშობლიურ სან-პაულუს ქუჩებსა და მდინარეებში მოაგროვა. 49 წლის მხატვარმა მნახველი გააოცა პიკასოს, ვან გოგის, მონეს, ჰოკუსაის, მუნკის, უორჰოლისა და სხვა სახელოვანი შემოქმედების ასლებით. მასალად მან პოლიეთილენის გამოყენებული პაკეტები გამოიყენა, რითაც გარემოს დაბინძურება გააპროტესტა. ედუარდოს თქმით, დღეს პლასტიკი „დომინირებს ყველაზე და ყველაფერზე“. უფრო ადრე, მხატვარმა არაერთი, ეგრეთ წოდებული, „საქალაქო ინტერვენცია“ განახორციელა და თავისიშემოქმედებითი პროექტებით საზოგადოების ყურადღება მიაპყრო ეკოლოგიურ პრობლემებზე.

„ჭკვიანი“ სამაჯური მავნე საკვების წინააღმდეგ

ამერიკულმა კომპანიამ – Behaviral Technology, სამაჯური გამოუშვა, სახელად – Pavlok, რომელიც მავნე საკვებისადმი მიზიდულობას დაგაძლევინებთ. გაჯეტს სახელი რუსი მეცნიერის, ივან პავლოვის პატივსაცემად უწოდეს, რომელიც პირობითი და უპირობო რეფლექსების თეორიის ფუძემდებელია. სწორედ ამ რეფლექსებზეა დაფუძნებული სამაჯურის მუშაობის პრინციპიც. ყოველ ჯერზე, როცა ადამიანს პირთან მიაქვს ხელი და რამე აკრძალულის შეჭმას აპირებს, გაჯეტი მის მფლობელს, მაშინვე 350-ვოლტიანი სიძლიერით დენს არტყამს. დენის დარტყმა უსაფრთხოა და ძლიერი არ არის, მაგრამ საკმარისია იმისთვის, რომ უსიამოვნო ემოციების მდგრადი ასოციაცია შექმნას. ნელ-ნელა, ადამიანს გამოუმუშავდება კავშირი მავნე საკვებსა და მის შემდგომ ტკივილზე და შეეცდება, თავიდან აირიდოს ეს სასჯელი. შედეგად კი, ნაკლებად შეჭამს „ფასტფუდსა“ და სხვა მავნე საკვებს. თუკი ადამიანს გახდომის სურვილი აქვს, მას სამაჯურზე წინასწარ შეუძლია დააყენოს მოხმარებული კალორიების ნორმა და მისი გადაჭარბებისას, გაჯეტი ელექტროდარტყმებს არ „დაიშურებს“. „ჭკვიანი“ სამაჯური ანალოგიურად დაეხმარება ადამიანს სხვა მავნე ჩვევების (მაგალითად, მოწევის) გადაგდებაშიც. ახალი გაჯეტის საფასური 199 დოლარია.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.